ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები საერთო—დეისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 19 მაისი, 1921 წ.

№ 63 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 63

## მუშურ-გლეხური ინსპექცია

რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტით გამოქვეყნებულია დებულებანი მუშურ-გლეხურ ინსპექციის შესახებ ჩვენში. წინეთ არსებული რეჟიმის შეცვლა, ცხადია, უნდა შეხებოდა იმ დარგსაც სახელმწიფოებრივი მუშაობისას, რომელსაც გულისხმობს ეგრედ წოდებული სახელმწიფო კანტროლი.

მუშურ-გლეხურ ინსპექციას განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილი უჭირავს საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში. მის კომპეტენციაში შედის თვალყურის დევნა და ფხიზელი კანტროლი ყველა პოლიტიკური, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების, რომლებიც მოწოდებულნი არიან განამტკიცონ და განავითარონ ახალი მუშურ გლეხური სახელმწიფოებრიობა. ის ვალდებულია კვალში ჩაუდგეს ამ ორგანოების მუშაობას და უთვალთვალოს როგორც მათ ნორმალურ ფუნქციას, ისე საბჭოთა მთავრობის ყველა დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას. მისი მიზანია ეს საქმე მოაწყოს მუშებისა და გლეხების ფართო მასსების აქტიურათ თავის მუშაობაში ჩაბმით, მათი ინიციატივის დამუშავებითა და განვითარებით, მათი მუშურ სახელმწიფოებრივი განვითარებით, თავის საქმისათვის მათი შეგნებულ და გამოცდილ მუშაკებათ გადაქცევით. თუ დიდია თავისთავათ დანიშნულება ინსპექციის საკანტროლო ფუნქციის უმთავრესი სამეურნეო დარგების განსახელმწიფოებრივობის დროს, უაღრესათ მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი მომენტი მისი მუშაობის. ის არის არა მარტო კანტროლიორი, არამედ აღმზრდელიც იმავე დროს მუშათა ახალ-ახალი კადრების, რომლებმაც თავის მხრებით უნდა ზიდონ მთელი სიმძიმე ახალი ცხოვრების აღმშენებლობის. ეს არის ერთი უმთავრეს მხარეთაგანი მისი მოღვაწეობის, რომლითაც სხვათა შორის სხვავდება ის ტრადიციული სახელმწიფო კანტროლის ინსტიტუტისაგან.

ერთი უმთავრეს მოვალეობათაგანი, რომელიც აწევს ჩვენს ინსპექციას, არის ბრძოლა ყველა დაწესებულებათა ბიუროკრატიზმთან. ეს არის ავადმყოფობა, რომელიც უსპობს ყოველ დაწესებულებას ცხოველმყოფლობას, უნარს მოქმედებისას, კლავს მასში სიცოცხლის ყოველ ნიშანწყალს და აქცევს მას ამნაირათ ცოცხალ ლეშათ, რომელიც შემოქმედებისა და განვითარების მაგიერ გამოდის ცხოვრების დამარღვევ და რეგრესის აგენტათ. ასეთი ბიუროკრატიზმი სახელმწიფოს აუარებელ დაწესებულებათა იწვევს ყრუ უკმაყოფილებას ფართო მასებში, რომელთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლათ ისინი არიან მოწოდებული და ამნაირათ შეუძლია ითამაშოს ამ სენმა ობიექტურათ კონტრ რევოლიუციონური როლი და გაამწვავოს საერთო ეკონომიური კრიზისით გამოწვეული და გართულებული ფართო მასების სულიერი განწყობილება. ამ მხრივ მუშურ გლეხურ ინსპექციას, რამდენადაც ის მოახერხებს დადგეს თავის რთულ ამოცანათა სიმაღლეზე, ეძლევა უაღრესი მნიშვნელობა ჩვენს სინამდვილეშიაც. რადგან, თუმცა საბჭოთა ორგანოები ახალი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მარა ანგარიშ გასაწევია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ისინი შემდგარი და აშენებული არიან იმ პერსონალური მასალით, თუ შეიძლება ითქვას ასე, რომელიც მოქცეული იყო და მუშაობდა წინეთ მენშევიკურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. ხოლო ვინ არ უწყის, რომ ყოველ გზაჯვარედინზე სალაპარაკო შეიქნა ამ დაწესებულებების ბიუროკრატიზმი. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინსპექციის კომისარიატმა მთელი სიფართოვით გამოყენებას იმ თავის მოვალეობისა და უფლებისას, რომლის საშუალებასაც მას აძლევს დაწესებულებასთან სპეციალური ბიუროს მოწყობა იმ დანიშნულებით, რომ მან მიიღოს განცხადებები და საჩივრები ამა თუ იმ დაწესებულების, თუ მოსამსახურეების უკანონო მოქცევის, დაუდევრობის ან მათი ბიუროკრატიზმის შესახებ.

ჩვენი მუშურ გლეხური ინსპექციის კომისარიატი უნდა შეიქნეს რეალურათ იმათ, რაც ის მოწოდებულია: პროლეტარიატის და მისი რევოლიუციის ყოვლის შემჩნევ და დამნახველ თვალათ, ახალი ცხოვრების აღმშენებლობის მუშაკთა აღმზრდელათ, მათ გამომწვრთნელათ.

## 26 მაისი

ქართველმა ხალხმა იცის ეხლა მაისის ორი დღესასწაული: პირველი მაისობა და 26 მაისობა.

პირველი მაისი ქართველმა ხალხმა იდღესასწაულა, როგორც დღე შრომის ხსნისა, როგორც დღე საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარული ბრძოლისა და მისი გამარჯვებისა, როგორც დღე საერთო, საკაცობრიო ბედნიერებისა!

მარა ამავე დროს ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა იდღესასწაულა ის, როგორც დღე სიბნელისა, მოთმინებისა და დამცირებისა, ერთი სიტყვით—როგორც დღე წარმავალი.

ყოველივე ეს ითქმის მომავალ 26 მაისის დღეზედაც.

26 მაისის დღეს ქართველი ხალხი, იდღესასწაულებს, ერთიანათ საზეიმო დღეთ გარდააქცევს მას. მარა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველი მისი ნაწილი, ყოველი მისი ჯგუფი ერთ აზრს მისცემს მას, ერთგვარი სასოებით და იმედით გაიმ ჭვალება და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის როგორ ესმის 26 მაისის დღის მნიშვნელობა, ვინ საით იყურება: წარსულისაკენ, თუ მომავლისაკენ, ვის რა იდეალი ასულდგმულებს, რა კლასობრივი ინტერესები ამოძრავებს: ინტერნაციონალური, პროლეტარული კომუნიზმი, თუ ნაციონალისტურ გამთიშველი, წვრილ ბურჟუაზიული ვითომდა „სოციალიზმი“.

ამის დამიხედვით ქართველი ხალხის საღი, სასიცოცხლო ნაწილი 26 მაისის დღესაც ინტერნაციონალურ პროლეტარულ წითელი დროშის ქვეშ დადგება და კვლავ საერთაშორისო ჰიმნს—ინტერნაციონალს დააგუგუნებს და არა ძველი, დრომოჭმული ცხოვრების, წარსული „ჯვაროსნული ომების“ ვითომდა ეროვნულ დროშასააფრიალებს და ვითომდა ეროვნულს, ნამდვილათ კი საეკლესიო ჰიმნს იგალობებს. არა, ეს არ მოხდება, ისე,—როგორც არ მოხდება, რომ ქართველმა ხალხმა კომუნიზმს ზურგი აქციოს და ისევ კაპიტალიზმს მიუბრუნდეს.

მან უკვე თავისი ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობა აღადგინა, მან უკვე შეძლო თავისი ეროვნული თავმოყვარეობის დაკმაყოფილება: მას უკვე თავისი წვლილი შეაქვს იმ საკაცობრიო ბედნიერების ტაძარში, რომლის შენებას იგი რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთათ შეუდგა.

ეს შეიძლებია მას რუსეთის პროლეტარულმა დიდმა რევოლიუციამ. სამი წლის შემდეგ მისი ქვეყნის ბურჟუაზიული „დამოუკიდებლობა“ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის წითელი პროლეტარული არმიის დახმარებით 26 თებერვლიდან ნამდვილ პროლეტარულ დამოუკიდებლათ აქცია. და აი სამი თვის თავზე, 26 მაისს ქართველი ხალხი თავისი რევოლიუციონური წინამძღოლობით იდღესასწაულებს ამ ნამდვილ დამოუკიდებლობის დღეს.

მენშევიკებიც და მათი მონათესავე ხალხიც დღესასწაულობდნენ ამ დღეს, მარა ეს იყო პროლეტარული რუსეთისგან ჩამოშორების დღესასწაული და არა დამოუკიდებლობის. მათ მოსწყვიტეს საქართველო პროლეტარულ რუსეთს და დაუმორჩილეს ბურჟუაზიულ ევროპას, აი რას უწოდებდნენ ისინი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობას.

ამნაირათ 1918 წლის 26 მაისის მენშევიკური „დამოუკიდებლობის“ აქტი რევოლიუციონური აქტი როდია, როგორც ეს ზოგ იდეოლოგს ჰგონია, არამედ ის თავის წარმოშობით და იმ შინაარსით, რომელსაც მას აძლევდნენ, კონტრ რევოლიუციონურია.

ამ კონტრ-რევოლიუციას სამკვდრო სასიცოცხლოთ შეებრძოლა ჩვენი რევოლიუციონური მუშები და გლეხები რუსეთის პროლეტარული რესპუბლიკის წითელი არმიის დახმარებით, რომელმაც მრავალი წვრილი ერი გაანთავისუფლა იმპერიალისტურ კლანჭებისაგან, კაპიტალისტურ მონობისაგან, და ამ ძალის გამარჯვებას იდღესასწაულებს 26 მაისს ქართველი ხალხი: ეს არის დღე მენშევიზმის დამხობის, დასამარების და წვრილ ერთა განთავისუფლების!

მაშ ამ დღეს ჩვენი ლოზუნგია: გაუმარჯოს მუშურ და გლეხურ საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ნამდვილ დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოთ ყველა იმ ძალებს, რომელთაც ქართველ ხალხს ეს მიანიჭეს!

ა. კ.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

### ამხ. იგნატოვის თანამოხსენება პარტიული აღმშენებლობის შესახებ.

**იგნატოვი.** ამხანაგებო, სულ ცოტა ხანმა განვლო, რაც ჩვენ პარტიულ კრებებზე მოსკოვის რაიონში გაცხარებით ვდაობდით ამხ. ბუხარინთან იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი კრიზისს პარტიაში, თუ იგი განიცდის, როგორც მაშინ ამბობდნენ, მხოლოდ ერთგვარ ავადმყოფურ მოვლენებს. ეხლა აქ გამოსულმა ბუხარინმა აღნიშნა, რომ პარტია განიცდის კრიზისს. მაშასადამე, ის მტკიცება და მდგომარეობის შეფასება, რომელსაც ჩვენ იმ თავითვე ვიძლეოდით, ეხლა ყველას განაა აღიარებული. და ამიტომ ეხლა შეგვიძლია პირდაპირ შეუდგეთ კრიზისის გამორკვევას, მიზეზების გამოკვლევას, რომლებმაც იგი წარმოშვეს. ამხანაგებო, კრიზისი ჩვენს პარტიაში გამოწვეულია, ერთის მხრივ, გარეშე ობიექტიური მიზეზებით, რომელნიც პარტიის ზედგავლენის გარეშე იმყოფებიან და რომელთა მოსპობა პარტიისაგან დამოკიდებული არ არის. მაგრამ, ამ პირობებთან ერთად, პარტიის კრიზისი იმალება შინაურ მოვლენებშიაც, იმ პირობებში, რომელნიც პარტიისაგან დამოკიდებული არიან, მათი მოსპობა შესაძლებელია და აუცილებელი. თუ ჩვენ მივმართავთ გარეშე მიზეზებს, ვიტყვით, დაუსრულებელი სამოქალაქო ომით შექმნილი მდგომარეობა თეთრგვარდიელ ელემენტების თავდასხმა გარედან ხელს უწყობდნენ ამ კრიზისის განვითარებას. მეორეს მხრივ, სახალხო მეურნეობის დაშლა აგრეთვე საგრძნობლად უწყობდა ხელს ამ კრიზისს და, იგულისხმება, რამოდენიმედ აჩქარებდა მას. ეს მიზეზები ობიექტიური ხასიათისა, რომლებიც პარტიისაგან არ იყვნენ დამოკიდებული, ჩვენ იძულებული ვართ მათ ანგარიში გაუწიოთ, როგორც ასეთებს. შემდეგ, გარდა ამისა, ჩვენს პარტიას უხდება მართვა-გამგეობა ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასი წარმოადგენს უმნიშვნელო უმცირესობას, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა გლეხობაა, სადაც პარტია იძულებულია მოქნილი პოლიტიკა აწარმოოს, შეეგუოს სხვა და სხვა ტენდენციებს (მუშათა კლასის კომუნისტური ტენდენციები, წვრილ ბურჟუაზიულ მასსების და გლეხობის მოთხოვნილება, მოთხოვნილება საშოხელეო ბურჟუაზიულ წრისა). ეს გადახლართული გარემოებები აძლიერებდნენ კრიზისს. მაგრამ, ამხანაგებო, აღვნიშნავთ რა აქ ამ ობიექტიურ მიზეზებს, უნდა გავითვალისწინოთ ისეთებიც, რომელთა მოსპობა შესაძლებელი იყო, რადგან ისინი პარტიის ზედმოქმედების სფეროში იყვნენ. იმ გარემოებაში, როდესაც პარტიას ძალაუნებურად უხდებოდა შეგუება, მას ჰქონდა თავისი გავლენა, მაგრამ ვერ გამოიჩინა კლასიური ხაზის საკმაო გარკვეულობა და სისწორე. ამ მხრივ ჩვენი პარტიის პოლიტიკა შორდებოდა იმ დებულებას, რომელიც ჩვენ გვაქვს კომუნისტური ინტერნაციონალის დადგენილებებში, სადაც აღნიშნულია, რომ პროლეტ. ხაზის გამოკვეთილობა, გარკვეულობ. არ უნდა იყოს დამოკიდებული საბჭოების საუწყებო პოლიტიკისაგან, პირიქით საბჭოები უნდა ემორჩილებოდნენ ეს პროლეტარულ კლასიურ ხაზს. გარეშე მიზეზებს უნდა მივაკუთნოთ ის პირობებიც, რომლის დროს, საომარ გარემოებათა გამო, ჩვენმა პარტიამ აუცილებლობით შეითვისოს ომის მეთოდები, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო პარტიის ზედაპირების მოწყვეტას ქვედა, პროლეტარულ ფენებისაგან; ამან კრიზისი გაძლიერა. უნდა ითქვას, ახლა ამ მხრივ მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ პარტია იმყოფებოდა სამოქალაქო ომის პირობებში, მან აამაღლა დიდი რაოდენობა ჩვეულებრივი წევრებისა, რომლებმაც ისწავლეს, გაიზარდნენ. მათი მოწოლის გამო იმახრევა ის ზღუდეები, რომელიც აღმართული იყო მათი თაოსნობისათვის და სამეურნეო ფრონტზე გარდასვლასთან დაკავშირებით, ეს უფრო გამოაშკარავდა და კრიზისში ჰპოვა გამოხატულება.

პარტიაში კრიზისის დაწყების მომენტი მე 8 ყრილობის ხანას უწევს, როდესაც აღნიშნული იყო მთელი რიგი ზომები ამ მოვლენების მოსასპობად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე-8 ყრილობის დადგენილებებშიაც და შემდეგაც არაფერი სერიოზული არ ყოფილა გატარებული ამ ავადმყოფური მოვლენების მოსასპობლად. საბჭოთა რესპუბლიკა და ჩვენი კომუნისტურ პარტია, რამდენათაც იგი მტკიცდებოდა და განიცდიდა შინაგანი გარდაქმნას, კარგავდა იმ ერთგვარი შემადგენლობას, რომელიც იყო ოქტომბრის რევოლიუციამდე. და განსაკუთრებით ეს დაეტყო მაშინ, როდესაც პარტიაში იწყეს დენა, მემარცხენე ესერების აჯანყების ჩაქრობისა და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების ლიკვიდაციის შემდეგ, მისთვის უცხო ელემენტებმა, ელემენტებმა, რომელნიც შემოვიდნენ პარტიაში თავისი ძველებური პსიქოლოგიით, მუშაობის ძველებური მეთოდებით. ეს გარემოებაც, ცხადია, თავის მხრივ აგრეთვე ხელს უწყობდა იმას, რომ პარტია მასსებს სცდებოდა, ხოლო შიგნით კი უფრო და უფრო შერეულ სახეს ღებულობდა. ამხანაგებო, აქ უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული პირობები, იგულისხმება, ხელს უწყობდნენ იმას, რომ ჩვენს პარტიაში, კომუნისტურ წრეში, მუშავდებოდა საბჭოთა ბიუროკრატიის განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც უწინ არ ჰქონდა შეთვისებული კომუნისტური პსიქოლოგია, ხოლო სამოქალაქო ომის ატმოსფერას არ შეეძლო საკმაოდ მისი აღზრდა; პირიქით, მან გაიარა სამხედრო ხანის აღზრდის პროცესი, მისგან გამომუშავდა ტიპი მოხელე. ბიუროკრატიისა, რომლისათვის უცხოა, გაუგებარია კომუნისტური პსიქოლოგია. აქედან სავსებით გასაგებია, რომ ეს ვითარება მოქმედებდა ახალ ჯგუფებზე, რომელნიც ჩვენს პარტიაში შემოდიოდნენ—განსაზღვრული მიმართულებით. სხვა პირობებში ამ გარემოებას გაუწევდნენ ალბათ? და, მოუვლიდა ჩვენი პარტია, მაგრამ სამოქალაქო ომის ატმოსფერაში, როდესაც პარტიის უფრო ღირებული, ძვირფასი ელემენტი ფრონტებზე იღუპებოდა, აჩქარებული ელემენტების გადამუშავება შეუძლებელი იყო, რის გამო პარტიის შიგნით ჩნდებოდნენ განსხვავებული ჯგუფები, რომელნიც თითქო უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის. ყველა ამ პირობების გამო, პარტია კარგავდა ავტორიტეტს მუშათა კლასის თვალში. აქ იმალება ძირითადი შეცდომა, და აი აქ უნდა ვეძიოთ ძირითადი საკითხის გადაჭრა.

ამხანაგებო, აი ეს ავადმყოფური მოვლენები, ის კრიზისი, რომელიც აღინიშნა ჩვენში, სრულიად ცხადად და გარკვევით აყენებს ჩვენს წინ მთელ რიგ სერიოზულ ამოცანებს, რომელიც პარტიამ, ეჭვს გარეშეა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, და მიიღოს მთელი წყება გადაუდებელი ზომებისა. ამ მხრივ, ჩვენ გვგონია, რომ პირველ რიგში პარტიამ უნდა შექმნას მუშათა კლასისთვის ისეთი პირობები, რომ პარტიამ შეძლოს ისე შესისხლხორცება და მიმხრობა მუშათა კლასისა და ამ კლასის ერთად-ერთი ნამდვილი ხელმძღვანელად გახდომა. მართლაც, თუ ჩვენს წინაშე ეხლა სდგანან უდიდესი მიზნები და თუ ჩვენ გვ ხდება ანგარიში გაუწიოთ გლეხობის სულიერ განწყობილებას, რომელსაც უკვე უშუალოდ აღარ ემუქრება მიწების დაკარგვა თეთრგვარდიელ გენერლების მხრით, უნდა ითქვას, იმ მდგომარეობაში, რომელსაც ახლა ადგილი აქვს მუშათა კლასში, ჩვენ, საქმის არსებითი შინაარსი რომ გავითვალისწინოთ, ვსწყდებით საკუთარ ძირითად ბაზას. და ძირითადი მიზანი არის ყურადღება მივაქციოთ ამ გარემობას და შევქმნათ ისეთი პირობები, რომლის დროს ეს შეუძლებელია მოხდეს, პარტია შესძლებს დაეყრდნოს თავის ფუძეს, თავის კლასს და წინ წარემართოს. ამას გარდა, უნდა ითქვას, რომ ჩვენ, პარტია, როდესაც პირველ ცდას ვაკეთებდით მასების შემოქმედების და თაოსნობის ამაღლების მიმართულებით, როდესაც ვცდილობდით მასსები უშუალოდ ჩაგვერია,—ხოლო პროლეტარიატის მხოლოდ უბრალო ჩარევით შეიძლება მისი მომხრობა და დაპყრობა,—როცა ჩვენ პირველ ცდას მივმართავდით, მეტად გაუბედავს, როგორც სექტემბრის კონფერენციაზე,—ეს ცდა არ ყოფილა ცხოვრებაში გატარებული. და არც შეიძლებოდა გატარებული ყოფილიყო, რადგან პარტიის ზედა ნაპირები საკმაო ნდობით არ ეპყრობოდნენ ქვედა ფენების შეგნებულობას. ამ უნდობლობაში ქვედა ფენების ზრდისა და ცნობიერებისადმი იმალება საგრძნობლად მიზეზი კრიზისის გაღრმავებისა, რომელსაც ეხლა ვაწყდებით და უნდა ითქვას, რომ პარტიამ ხელი უნდა აიღოს წვრილმან ოპეკაზე და ნდობით მოეპყრას ფენების შეგნებას. ამაში მდგომარეობს კრიზისიდან გამოსავალი; გარეშე ქვედა ფენების და პროლეტარულ მასსების თვით მოქმედებისა, ცირკულიარებით, განკარგულებებით და მაგისთანეებით, ამ კრიზისიდან ვერ გამოვალთ,—რაც ხანი გავა, იგი უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება, მიუხედავად ყოველგვარი სიტყვებისა. მეტად ნათლად და გარკვევით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია დავდგეთ მუშური დემოკრატიის გზაზე. ამხანაგებო, ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი და საგულისხმო იყო სექტემბრის პარტიული კონფერენციის განწყობილება, როდესაც ჩვენ პირველად შევდექით მუშური დემოკრატიის გზაზე, შევდექით მაშინ, როდესაც რესპუბლიკა და პარტია განიცდიდნენ მეტად საშიშ მდგომარეობას; პარტიას მაშინ ეყო ვაჟკაცობა პირდაპირ შეეხედნა სინამდვილისათვის და აეღო გარკვეული კურსი. და ეხლაც უნდა ვთქვათ, რომ პარტია არ უნდა შედრკეს და მტკიცედ გასწიოს მუშური დემოკრატიის გზით არა მარტო მაშინ, როდესაც ყოველგან სიწყნარეა, არამედ მაშინაც, როცა ყველაფერი არ არის რიგზე, ვინაიდან ამხანაგებო, არ უნდა დავივიწყოთ ძირითადი დებულება, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ მაშინ წავა წინ, გაიმარჯვებს და კომუნიზმს განახორციელებს, როდესაც ფართო პროლეტარული მასები ჩვენთან იქნებიან.

ამხანაგებო, მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი პარტია გაივსო მრავალი უცხო ელემენტებით. ზოგიერთი მუშები აცხადებენ: მე შევიდოდი კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ იქ ბევრია ისეთი ხალხი, რომ ლთან ლაპარაკს ვერ მოვახერხებ, რომელიც ჩემთვის გაუგებარია. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, ამხანაგებო. ამხ. ბუხარინმა უკვე გააკეთა წინ ნახტომი იმ მიმართულებით, რომ საჭიროა უფრო სერიოზულად და ფხიზლად შევხედოთ სინამდვილეს.

(დასასრული ხვალ).

## საბჭოთა რუსეთში

### გრუკავროსტას დეპეშები

**მოსკოვის საბჭოს პირველი პლენარული სხდომა.**

**მოსკოვი.** 16 მაისი (რადიო) სხდომის გახსნისას ამხ. კამენევი მადლობას უცხადებს მოსკოვის პროლეტარიატს, რომელმაც ის ნდობით აღჭურვა და აირჩია მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარედ. მოსკოვის საბჭო, ამბობს ის, რესპუბლიკის საბჭოთა შორის ერთი უპირველესთაგანია... (დამახინჯებულია)... მუშათა კლასმა, რომელმაც მხოლოდ მშრომელთა ინტერესებზე აგებული პოლიტიკური და ეკონომიური წესწყობილების დამყარება ითავა, უკვე სრული 4 წელიწადია, რაც რუსეთის მშრომელი მასსა—მუშები და გლეხები ასრულებს თავის ძალა-უფლებას და იცავს თავის სახელმწიფოებრივ წყო-

# დღეს ნომერში:

**მოსკოვის ახალი საბჭოს პირველი სხდომა. კამენევის, კრასინის და სხ. სიტყვები.**

**მოსკოვის საბჭომ მოწოდებით მიმართა ყველა მშრომელთ, გაძლიერონ აღმშენებლობითი მუშაობა და ამით განამტკიცონ საბჭოთა ძალა უფლება.**

**საბერძნეთის ლაშქარში მღელვარება დაიწყო. ჯარის ნაწილები ბრძოლაზე უარს აცხადებენ.**

ბილებას. კაპიტალიზმის ბრჭყალებს ქვეშ მგმინავ და მუშათა სისხლით მორწყულ სახელმწიფოთა შორის არის ერთი სახელმწიფო, რომელმაც იცის, რომ მას არა ჰყავს მოძალადე პატრონი, მემამულე და კაპიტალისტი. ამ ჟამად რუსეთში ვერ ვხედავთ ჩვენთვის სატრფიალო და სრულს ჩვენს მიზანზე აგებულ წყობილებას. ეხლანდელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება—ესაა მხოლოდ გარდამავალი საფეხური. რუსეთის მშრომელმა მასსამ მუშებმა და გლეხებმა თავის ძალა-უფლების განსამტკიცებლათ გაიღეს ყოველი მსხვერპლი და სიამოვნებით დასთანხმდნენ ამაზე. საბჭოთა მმართველობის ქვეშ ამ ჟამად რუსეთის 1,300,000 მცხოვრები. აქედან ამხ. კამენევი გადავიდა საბჭოთა მმართველობის ეკონომიურ პოლიტიკაზე, დაახასიათა ის სავსებით და შეეხო წინათ მიღებულ სურსათის ნატურალურ გადასახადს—ბეგარას. აუცილებელ საჭიროებათ აღიარა მისი შეცვლა სასურსათო გადასახადით. შემდეგ ის შეეხო მოსკოვის საბჭოს დანიშნულებას. მოსკოვის საბჭოს დიდი და აუარებელი სამუშაო აქვს მომავალში; აქ საჭიროა დიდი ენერგია, რომ ეს გაკეთდეს, მოსკოვის საბჭო უნდა იყოს ერთსულოვანი. უპარტიო ამხანაგების მოვალეობაა, თუ კი სურთ მათ საბჭოთა მართველობის განმტკიცება და დაცვა, გვერდში ამოუდგნენ კომუნისტებს და მათთან ერთად შეუდგნენ ქვეყნის აღორძინება-აყვავებას. ჩვენმა ამომრჩეველმა მუშათა მასამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს დეპუტატებს არას დროს არ დაგვიწყებია და მუდამ გვახსოვს მათი საჭიროება მათი ქოხმახები საცოდავი თავშესაფარია ნახევრათ დანგრეულ ქარხნებში და სახლებში. უკანასკნელათ მან უსურვა გამარჯვება მოსკოვისა და მთელ რუსეთის პროლეტარიატს. საგარეო პოლიტიკაზე მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი კრასინი. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ რუსეთსა და ინგლისს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას დიდის აღტაცებით მიეგება მთელი ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი ...(დამახინჯებულია).. ნაყოფიერათ მიმდინარეობს აგრეთვე ჩვენი მოლაპარაკება იტალიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან და დანიასთან. მის შემდეგ სასურსათო კითხვაზე მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. სვიდერსკი. ის შეეხო, თუ რა უკიდურეს სასურსათო გასაჭირშია ამ ჟამათ ჩავარდნილი პეტროგრადი, მოსკოვი და რუსეთის ცენტრალური სამოეწველო რაიონები. მიზეზათ ამისა მან დაასახელა ტრანსპორტის სრული მოუწესრიგებლობა. რამდენიმე ათი მილიონი ფუთი ხორბალი იყო დამზადებული და დაგროვილი, ამბობს ის, იწყო მაგრამ ისეთ პუნქტებში, რომ იქიდან მისი გაზიდვა და დამშეულ რაიონებისათვის მიწოდება ყოვლად შეუძლებელი ხდება. საბჭოთა მთავრობა იძულებული შეიქნა, რომ ამოდენა ხორბლის ნაწილი სათესლეთ გადაეცა და დაერიგებია გლეხებისათვის. გვქონდა გამომუშავებული დათესვის გეგმა. ის თამამათ შევასრულეთ და გადავაჭარბეთ კიდევ ათი პროცენტით. მაგრამ ეს გადაჭარბება მძიმე ტვირთად დააწვა დამშეულ სახელმწიფოებრივ მოცეულს... (დამახინჯებულია). გამოჩნდნენ აუარებელი თავზე ხელაღებული უპასუხისმგებლო ბრბოები. ეს მტრები ზურგიდან თავს ესხმიან ჩვენს მუშათა კლასს.

ცდილობენ ყოველ ძალ ღონეს ჩვენი სასურსათო მდგომარეობის ასარევ დასარევათ და სცდილობენ მთელი თავის არსებით ეს გასაჭირი უკიდურესამდე მიიყვანონ.

**მოსკოვი**, 16 მაისი. (რადიო) (დამახინჯებულია). ამ მიზნისათვის ჩვენი მომარაგებული გვაქვს ბლომა საქონელი და არსებობს საამისო ფონდი. უცხოელ ფირმებთან უკვე გვაქვს შეთანხმება და ჩამოგვიტანენ კიდეც დიდძალ სურსათ სანოვაგეს.

ამ მოხსენების გამო სხდომამ გამოიტანა სათანადო დადგენილება და სასურსათო კრიზისის შესანელებლათ და მის გამოსასწორებლათ დაასახელა მრავალი სხვა და სხვა კონკრეტიული საშუალება.

## საბჭოთა რუსეთის ყველა მშრომელთა მიმართ.

**მოსკოვი**. 16 მაისი, (რადიო). მონურ პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებისაგან განსათავისუფლებლათ რუსეთის მუშათა კლასს და გლეხებს მოუხდა მძიმე და განუწყვეტელი ოთხი წლის ბრძოლის გადატანა. მემამულეებს, კაპიტალისტებსა და მეფის გენერლებს არ უნდოდათ იოლათ და უბრძოლველათ დაეთმოთ ხალხისათვის თავისი მამულ-ქარხნები და არც კი ფიქრობდნენ, რომ მშრომელთა ზურგზედ ანაყელეფ კაპიტალზე ხელი აეღოთ. ესერების „უჩრედილკა" სამარაში, ჩეხოსლოვაკიაში, კორნილოვი, დენიკინი, ვრანგელი, კოლჩაკი, პეტლიურა, მახნო, ესერების ბრბოს მეთაური ანტონოვი, კრონშტადტელ სოციალ-გამცემლები, ინგლისელების და იაპონელების რაზმები და უკანასკნელათ პოლონელთა არმია სცარცვავდნენ და უმოწყალოთ ანადგურებდნენ რუსეთის ქალაქ სოფლებს. მაგრამ წითელმა არმიამ მუშებისა და გლეხების ერთსულოვან დახმარებით თამამათ შესძლო უცხოელების მიერ დაქირავებულთა და რუსეთის თეთრ რაზმელების განდევნა, საბოლოო დამარცხება და საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანობის დამყარება. მეზობელ ხალხთან ჩვენ შევკარით ზავი. ინგლისთან, გერმანიასთან და სხვა სახელმწიფოებთან ჩვენ სავაჭრო ხელშეკრულება დავდევით. მუშებსა და გლეხებს აწი თამამათ შეუძლიათ მყუდრო მშვიდობიან შრომას მოჰკიდონ ხელი. პირდაპირ ბრძოლაში თეთრ რაზმელებმა ჩვენ ვერა დაგვაკლეს რა, დამარცხდნენ სასტიკად, მაგრამ ხალხი კი დაანგრიეს და მოსპეს ხალხის მეურნეობითი ცხოვრება.

საზღვარ გარეთ გაქცეული კაპიტალისტები და მათი ლაქია სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ ჩვენ ა და უცხოელებთან სავაჭრო ურთიერთობა ჩაიშალოს. ესენი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს არ აძლევენ მოსვენებას და ძლიერ აფერხებენ მათ მუშაობას უცხოეთში სურსათ-სანოვაგის და საქონლის შეძენა-შესყიდვის საქმეში მიუხედავათ ამისა უცხოეთის ბურჟუაზიას მათი არა სჯერა რა. ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა თანდათანობით ეწყობა. როცა ჩვენში სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მუშებმა არ მისცეს თავის მთავრობებს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრების უფლება. თანდათანობით იზრდება და ღვივდება ცეცხლი კომუნიზმისათვის ბრძოლისა. უკვე მეორე თვეა, რაც ინგლისში ნახშირის მემაღაროეთა გაფიცვაა. ამერიკაში გაფიცულნი არიან მეზღვაურები; 2 ივნისისათვის მოსკოვში მესამეჯერ დანიშნულია კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობა; მთელი ქვეყნის რევოლიუციონერ და მუშა-გლეხების ყრილობა. გვიახლოვებს დიად დღეს, დღეს რევოლიუციის საბოლოო ბრწყინვალე გამარჯვებისას. იმისათვის, რომ მალე დადგეს ეს სასურველი წუთი, რომ გადვიტანოთ შიმშილი და განადგურება, არსებობს მხოლოდ ერთათ ერთი საშუალება—ეს საშუალებაა შრომა, მუშაობა. რამდენათ მუშა ჩითს მოქსოვს დამშეული ფეიქარი ქალი ქარხანაში, იმდენათ ის უკეთ გამოკვებავს თავის ბავშვებს, რამდენათ მეტს დასთესს მხვნელ-მთესველი, იმდენათ ის მეტი მაძღარი იქნება და იმდენათ ჩქარა შემოსავს იგი თავის ოჯახს. როცა ცეცხლისგან სულ მთლად განიავდება სოფელი საჭიროა რაც შეიძლება სწრაფათ აღსდგეს და გაშენდეს ის; თუ ყველა საერთო ძალადობითა და თანხობით შეუდგება ამ სოფლის აშენებას, იმდენათ უკეთესი მშვენიერი და მტკიცე სახლები იქნება გაშენებული. ამ გადამწვარ სოფელს წააგავს ჩვენი რუსეთი. ის გადასწვეს, გაანიავეს თეთრ რაზმელებმა, ესერების და მენშევიკების ბრბოებმა. მუშებმა, წითელ არმიელებმა, გლეხებმა და საბჭოთა მოსამსახურეებმა ეს ნათლათ შეიგნეს. მათ მოსკოვის ახლათ არჩეულ საბჭოში გაგზავნეს თავის წარმომადგენლებათ დეპუტატთა საერთო რაოდენობის სამი მეოთხედი კომუნისტებისა და მეოთხედი კი უპარტიოთა.

ჩვენ, მოსკოვის 700 ათასიან მშრომელ მცხოვრებთა მიერ არჩეული მოვმართავთ საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის ყველა მუშებს, გლეხებს, წითელ არმიელებს და პატიოსან მუშაკთ მხურვალე მოწოდებით, რათა მჭიდროთ შეკავშირდეთ თქვენ საბჭოების გარშემო და მედგრათა და მტკიცეთ ხელი მოკიდოთ თქვენს სახლსა და თქვენს ჩაქოხს.

მხოლოდ საერთო ძალით შეგვიძლია თავი დავახწიოთ ნგრევას და გავიმარჯვოთ მტრებზე. არ ერწმუნოთ ფლიდს მოწოდებებს სპეკულიანტებისას და გუშინდელ მედუქნეებისას. მათ სურთ მუშაობაში ხელი შეგიშალონ, რომ ბოლოს თქვენ კლასიურ მტრებად გადაიქცეთ. ესერები და მენშევიკები სცდილობდნენ თქვენი მუშაობის ჩაფუშვას, რათა შიმშილის გაძვალტყავებული ხელით დაგახრჩონ, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1917 წ. ბანკირი რიაბუშინსკი ამბობდა. ესერების (ბანდიტების) ბრბოები კიდევ ეცემიან საბჭოთა საწყობებს და პურს სწვამენ. დაჰკარგეს რა ყოველი ნდობა და რწმენა ქალაქებში, ისინი უპარტიოთა დამცველ ფერში ეხვევიან, ჩვენ, მოსკოვის საბჭოს უპარტიო წევრები, ქარხნის მუშები გეუბნებით თქვენ, ისინი მგლებია ცხვრის ტყავში გახვეულნი, ისინი ემზადებიან ახალი გამცემლობისათვის. მოსკოვის მშრომლებმა იციან, რომ თავის საბჭოს გარშემო მაგარ კედლათ შემოცულნი, ბრძოლით მოიპოვებენ მშვიდობიანობას, პურს და თავისუფლებას ყოველგვარ ყვლეფისაგან. საბჭოთა ხელისუფლების გარშემო შემოკრებას და მტკიცე საერთო მუშაობას ქარხნებში და მინდვრად, აქეთკენ მოუწოდებს მოსკოვის საბჭო საბჭოთა ხელისუფლების დამცველ ყველა პატიოსან მუშაკთ, მუშებს და გლეხებს. გაუმარჯოს შრომას, გაუმარჯოს სახალხო სიმდიდრეს, რომელსაც იგი ჰქმნის. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატთა მოსკოვის საბჭო. (გრუკავროსტა)

# რუსეთის კომპარტიის 10-ე ყრილობის რეზოლიუციები

**რეზოლიუცია პარტიული აღმშენებლობის შესახებ.**

(დასასრული *)

VIII

**„იაჩეიკები" და მათი მუშაობა.**

32. რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენლობაზე გადასვლასთან ერთათ და იმისათვის, რომ პარტია რაც შეიძლება ახლო იდგეს ფართო მასასთან,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „იაჩეიკების" კომიტეტების გაძლიერებას ქარხნებში და ზავოდებში ამისათვის საჭიროა, რათა ერთი თვის განმავლობაში მე X ყრილობიდან გადათვალიერებულ იქნის ყველა „იაჩეიკების" შემადგენლობა, მოხდეს გადაჯგუფება, ერთის მხრით—რაც შეიძლება კომუნისტების მეტი რიცხვის—საბჭოთა დაწესებულებებიდან ქარხანა - ზავოდებში, მეორე მხრით—პარტიის წევრთა საჭირო რიცხვის დაბალ საწარმოო დაწესებულებებიდან უფრო მაღალ საწარმოო დაწესებულებაში. ეს გადაჯგუფება უნდა მოხდეს პროფესიონალურ კავშირების უახლოეს მონაწილეობით.

33. იაჩეიკების გაძლიერება უნდა გამოიხატოს არა მარტო მათ რიცხვობრივ გადიდებაში: ამასთან ერთათ საჭიროა, რომ მათ მუშაობას მიეცეს ერთგვარი საქმიანობის შინაარსი, რისთვისაც საჭიროა სისტემატიური მუშაობა ამ ფარგლებში. „იაჩეიკების" მუშაობა არ უნდა იასაზღვრებოდეს მარტო პროპაგანდითა და აღმზრდელობითი მუშაობით,—ამას გარდა ისინი უნდა გადაიქცნენ პარტიის მუშაობის ძირითად სამეურნეო ორგანოებათ. ამასთანავე თვალყური უნდა ადევნოს იმ გარემოებას, რომ კომუნისტები, რომლებიც მუშაობენ ფაბრიკა-ზავოდებში და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მონაწილეობას იღებდნენ თვით წარმოების პროცესში—საქსოვ მანქანასთან და გუთნის დედასთან ერთათ და არ საზღვრავდნენ თავიანთ მუშაობას მარტო ადმინისტრატიულ თანამდებობით.

34. „იაჩეიკების" კომიტეტთა მუშაობა უნდა შეადგენდეს განსაკუთრებულ საზრუნავ საგანს საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებისათვის. კომიაჩეიკების მუშაობის საერთო გეგმა უნდა მუშავდებოდეს სპეციალურათ მოწვეულ მდივნებისა და საორგანიზაციო განყოფილებების გამგეების თათბირზე, სადაც მონაწილეობას უნდა იღებდნენ ფრაქციისა და პროფესიონალურ ორგანოების წარმომადგენელნი.

აღნიშნულ გეგმას მხედველობაში უნდა ჰქონდეს გუბერნიის განსაკუთრებული ეკონომიური პირობები და მასზე დაკისრებული სამეურნეო მოთხოვნილებანი; ამასთანავე სამაზრო „იაჩეიკის" გეგმა უნდა სხვადებოდეს საგუბერნიო „იაჩეიკის" გეგმისაგან. საერთო საგუბერნიო გეგმა თან შეთანხმებით უნდა მუშავდებოდეს, იმავ პროფ-კავშირების თანამშრომლობით, სამაზრო გეგმები ადგილობრივ პირობების და მიხედვით. აქედან ცხადია, რომ ინფორმაცია უნდა ეთანხმებოდეს აღნიშნულ გეგმის განხორციელებას და პარტიული ცხოვრების ქრონიკა უნდა აშუქებდეს „კომიაჩეიკების" ცხოვრებასა და მუშაობას იმის აღნიშვნით, თუ რომელი „კომიაჩეიკა" იჩენს მეტ ცხოველმყოფელებას თავის მოქმედებაში ან თუ რა გავლენას ახდენს საერთოდ წარმოებაზე ამა თუ იმ „კომიაჩეიკის" მუშაობა.

35. „იაჩეიკების" მუშაობა უნდა იქნეს აღიარებული პარტიული მუშაობის უუდიდეს მამოძრავებულ ღერძათ. ამიტომ „იაჩეიკებში" სამუშაოთ უნდა იყვნენ მოწოდებულნი საუკეთესო ძალები პარტიაში მომუშავე ამხანაგებისა. ამასთანავე მტკიცეთ უნდა იყოს გატარებული ის პრინციპი, რომ ხელმძღვანელი ამხანაგები ხანგრძლივათ რჩებოდნენ თავიანთ სამუშაოზე „იაჩეიკებში" და მათი მუშაობა იმყოფებოდეს სათანადო კონტროლის ქვეშ.

სასურველია, რომ კვირაში ერთი დღე თავისუფალი იქნეს ყოვლივე სხდომისაგან და ეს დღე შეეწიროს განსაკუთრებით პარტიულ მუშაობას (პარტიული დღე).

36. წმინდა პარტიულ მუშაობის სფეროში „იაჩეიკა" ა) აწარმოებს ყველა წევრების რეგისტრაციას და ადევნებს თვალ ყურს, რომ არც ერთი წევრი „იაჩეიკის" არ დარჩეს უსაქმოთ, რომ თითოეული მათგანი ასრულებდეს ამა თუ იმ საქმეს. იღებს ყოველგვარ ზომებს წერა-კითხვის უცოდინარეთა სრულს ლიკვიდაციისათვის და აგრეთვე მისთვის, რომ ყოველ წევრს განვლილი ქონდეს პოლიტიკური ანბანის სკოლა, ბ) აწარმოებს ყველა წევრების საშუალებით აგიტაცია-პროპაგანდას უპარტიოთა შორის, აწყობს მოხსენებებს—კამათით და დისკუსიებით; გ) კომუნისტურ იდეების გასავრცელებლათ აწყობს „იაჩეიკების" საჯარო კრებებს, რომლებზედაც იმართება საუბარი და კამათი კომუნისტური წყობილებისა, პროფესიონალური კავშირების, მუშა-მოსამსახურეთა საერთო მდგომარეობისა და სხვ. შესახებ. ამასთანავე სასურველია, რათა, რაც შეიძლება უპარტიოთა მეტი რიცხვი იღებდეს მონაწილეობას კამათში; დ) ასეთივე საჯარო კრებებზე „იაჩეიკა" იხილავს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს. ამ კრებებზე მონაწილეობას იღებენ უპარტიო მუშებიც, რომელნიც ამნაირათ ეცნობიან საბჭოთა წყობილებას და იძენენ შესაფერ ცოდნას; ე) ყველა თავისი წევრების პირადი მაგალითით,—როგორც შრომის დაცვის, აგრეთვე წარმოებაში მონაწილეობის სფეროში (წარმოების სათანადო სიმაღლეზე ასაყვანათ)—იაჩეიკა აწარმოებს აგიტაციას უპარტიოთა ფართო მასაში, ხელს უწყობს ყველა თავის წევრების და უპარტიოთა პირად ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ როგორც რაიონებში აგრეთვე ქალაქებში; ვ) ყველა თავის წევრების საშუალებით იღებს აქტიურ მონაწილეობას ზავკომების არჩევნებში და მათ მუშაობაში, საკონტროლო-სამეურნეო საქმეებში და სხ. ამასთანავე თვალყურს ადევნებს, რომ მუშაობა ამ ორგანიზაციებში სწარმოებდეს საბჭოთა პრინციპების თანახმათ; ზ) თავის წევრთა შორის არჩევს ნიჭიერსა და მეტი უნარის მქონე ამხანაგებს იმ აზრით, რომ ასეთი ამხანაგები უბრალო საბჭოთა საქმიანობიდან ჩააბას პარტიულ საქმეში, ამასთანავე ცდილობს გამონახოს უპარტიოთა შორის შესაფერი კანდიდატები საბჭოთა ორგანიზაციებში სამუშავოთ; კ) დაუცხრომელ თვალყურს ადევნებს, რათა პარტიული ძალები გამოყენებულ იყვნენ კომუნისტურ მუშაობაში, რაც შეიძლება, ფართო და მეტის ნაყოფიერებით; ზომებს რაიმე ხაკლულოვანების წინააღმდეგ „იაჩეიკა" იღებს იმ ორგანოს კომუნისტურ ფრაქციის საშუალებით, რომელსაც ექვემდებარება ესა თუ ის საწარმოო დაწესებულება. იმ შემთხვევაში, თუ იაჩეიკა არ დაეთანხმება ფრაქციის გადაწყვეტილებას, ის მიმართავს სათანადო პარტიულ კომიტეტს.

IX.

**ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ.**

37. ყრილობა ავალებს ახლად არჩეულ ც. კ., როგორც მის უახლოეს საზრუნავ საგანს, რათა მან შეურყევლათ გაატაროს ცხოვრებაში პარტკომების სტრუქტურის ერთგვაროობა, გაამარტივოს ინფორმაცია და შეიმუშავოს საერთო გეგმა მათი მუშაობისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ც. კ. რომელიც დაყრდნობილი იქნება ადგილობრივ მუშაობის გამოცდილებაზე აწარმოოს პარტიული მუშაობა სრულიად რუსეთის ფარგლებში.

38. იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მუშაობის საერთო გეგმის განხორციელება, რომ გაერთიანდეს ყოველდღიური მუშაობა პარტიის ყველა დარგში, ც. კ. იწვევს დროგამოშვებით სრულიად რუსეთის თათბირს, რომელიც შესდგება საგუბერნიო კომიტეტების თავმჯდომარეთაგან.

39. სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციები უნდა იკრიბებოდენ ორჯერ წელიწადში.

40. ც. კ. პლენუმი უნდა იკრიბებოდეს რეგულიარულათ ერთხელ მაინც 2 თვის განმავლობაში. მიმდინარე საორგანიზაციო და პოლიტიკურ მუშაობის სახელმძღვანელოთ რჩება ორგ. და პოლიტ-ბიურო ც. კ.

ც. კ. პლენუმის სხდომაზე შეუძლიათ დაესწრონ კანდიდატებსაც, მხოლოთ სათათბირო ხმით.

41. სასურველია, რათა ახლად წამოყენებული პრინციპიალური პარტიული საკითხები ირჩეოდეს ც. კ. სხდომებზე შედარებით დიდ პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით.

42. სრულიად რუსეთის ყრილობებისა და კონფერენციების დღიური წესრიგის თეზისები უნდა იბეჭდებოდეს არა უგვიანეს ერთის თვისა ყრილობის ან კონფერენციის მოწვევისა.

43. ც. კ ანგარიშს აძლევს პარტიას ყოველთვიურათ თავის მუშაობის შესახებ.

44. ც. კ. წევრთა რიცხვი დიდდება 25 დე. მათ შორის ყოველ შემთხვევაში 5 მაინც ეწევა განსაკუთრებით პარტიულ მუშაობას. ეს 5 კაცი უმთავრესათ დადის ადგილობრივ ორგანიზაციებში და ესწრება საგუბერნიო კონფერენციებისა და გუბკომების პლენუმის სხდომებს. თავის მოგზაურობის დროს აღნიშნული წევრები ეცნობიან ადგილობრივ მუშაობას და მუშებს, აძლევენ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს პარტიული მუშაობის ყველა დარგისათვის, აკეთებენ მოხსენებებს ც. კ. მუშაობისა და უახლოეს პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული ც. კ წევრები რჩებიან ადგილობრივ ხანგრძლივათ და იღებენ მონაწილეობას ორგანიზაციის მუშაობაში. ასეთ მოგზაურობის შესახებ ც. კ. წევრები აკეთებენ მოხსენებას ც. კ. საორგანიზაციო ბიუროში, მოხსენების შინაარსი კი იბეჭდება ც. კ. „მოამბის" უახლოეს №-ში.

45. ამას გარდა ც. კ. დახურული კონვერტის საშუალებით ყოველ თვიურათ აძლევს ცნობებს ყველა გუბკომებს შინაურ და გარეშე საერთო მდგომარეობის შესახებ, აძლევს აგრეთვე ცნობებს პარტიის ცხოვრებიდან და უთითებს იმ უახლოეს მიზნებზე, რომელთა შესრულება ევალება აღნიშნულ გუბკომებს.

**X. ზოგიერთ უახლოეს საორგანიზაციო საკითხების შესახებ.**

46. ყრილობა გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მას ზედმეტათ მიაჩნია განყოფილებების არსებობა სოფლად პარტიული მუშაობისათვის. პარტიული კომიტეტების გაძლიერებასთან ერთად აღნიშნულმა განყოფილებებმა დაჰკარგეს თავიანთი აზრი და ხელს უშლიან პარტიულ მუშაობის ხელმძღვანელობსა

*) იხ. „კომუნისტი" № 62.

# საზღვარ გარეთ

**გრუკავროსტას დეპეშები.**

## მღელვარება საბერძნეთის არმიაში.

**ბათუმი** 13 მაისი (რადიო). ანგორიდან იტყობინებიან საბერძნეთის ლაშქარში დაწყებულ მღელვარების შესახებ. სმირნის ფრონტზე მოსულ კრიტოსელებისაგან შემდგარ ორ საბერძნეთის ბატალიონში მოხდა მღელვარება, რომელიც ძალით იქნა დაწყნარებული. განიარაღებულნი კრიტოსელები ჩასვეს გემში და გაგზავნეს უცნობ მიმართულებით. ამას გარდა უშაკის ფრონტთან სმირნაში დასასჯელათ გაიგზავნა 50 ბერძენი ჯარისკაცი, ბორკილ დადებულნი. ეს ჯარისკაცები მიეცემიან სამხედრო საველე სასამართლოში საბერძნეთის ლაშქრის აჯანყებისაკენ მოწოდების გამო.

## საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.

**ბათუმი**. 14 მაისი, (ტელეგრაფით) სმირნიდან იტყობინებიან, რომ იქ ჩასულა საბერძნეთის დიდ ძალი დამხმარე ჯარი. კუნძულ კრიტოსის მცხოვრებთა ორმა ბატალიონმა, რომელიც სმირნაში გადმოსხეს, ფრონტზე წასვლაზე უარი განაცხადეს. მეორე მხრივ ოსმალეთის ჯარიც სმირნის რაიონში იყრის თავს. ახლო მომავალში ფრონტზე გაცხოველებული მოქმედებაა მოსალოდნელი.

## აღმოსავლეთის საქმეთა ახალი კონფერენცია.

**ბათუმი**. 14 მაისი (დეპეშით) იტალიურ გაზეთების ცნობით იტალიის თაოსნობით ოსტენდეში შეიკრიბება აღმოსავლეთის საქმეთა ახალი კონფერენცია, რომელშიაც ამ რიგად მონაწილეობას მიიღებს. ამ კითხვის შესახებ უკვე გაიმართა ლოიდ-ჯორჯსა და ბრიანს შორის მოლაპარაკება.

## საბერძნეთ-ბულგარეთის კავშირი.

**ბათუმი**. 14 მაისი. (ტელეგრაფით). ბულგარეთის ელჩმა ათინაში აცნობა პრესას საბერძნეთ ბულგარეთის შორის მომხდარ შეთანხმების ამბავი. „ფრიად საჭიროა, განაცხადა ელჩმა" მუშაობა საბერძნეთ-ბულგარეთის შორის კავშირის განსამტკიცებლად. როგორც კი ქემალ-ფაშა დაემხობა. საბერძნეთს ოქროს ხანა მოელის. ბულგარეთმა მრავალი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა. ახლა ჩვენ ძველ ჰრილობათა განკურნებას ვუნდებით, დარწმუნებულნი ვართ, რომ ძლიერი ბულგარეთი იცხოვრებს მეგობრულად მძლე საბერძნეთთან.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილება.**

იმ პირთა და ბუხგალტერ მოანგარიშეთა რეგისტრაციის შესახებ, რომლებსაც წინათ სასურსათო ორგანიზაციებში უმუშავნიათ:

1. ყველა იმ პირთა საერთოდ და კერძოთ, ბუხალტერებისა და მოანგარიშეების, რომლებსაც წინათ სასურსათო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში უმუშავიათ,—აღსარიცხავათ და სათანადოთ გამოსაყენებლათ—მოხდეს რეგისტრაცია ზემოხსენებულ პირთა მთელ რესპუბლიკაში...

პუბლიკის ტერიტორიაზე.

2. ზემოხსენებულ პირთაგან ყველა ისინი, რომლებიც სცხოვრობენ ქ. თბილისში, ვალდებულნი არიან ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდნენ რეგისტრაციისათვის სახ. სას. კომისარიატის საორგანიზაციო სამართველოში; პროვინციაში მცხოვრებნი კი ვალდებულნი არიან, ამავე ვადაში, დღიდან „კომუნისტის“ ანდა „პრავდა გრუზიი“ ნომრების მიღებისა—ჩაირიცხონ ადგილობრივ სამაზრო და ქალაქის სასურსათო კომიტეტებში.

3 სამაზრო და ქალაქის სასურსათო კომიტეტებს წინადადება ეძლევა მიიღონ სათანადო ზომები ზემოხსენებულ პირთა რეგისტრაციისათვის.

4 ყველა სამაზრო და ქალაქის სასურსკომიტეტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციის მოხდენის შემდეგ დაუყოვნებლივ წარმოადგინონ სახ. სას. კომისარიატში ცნობები რეგისტრაციის შესახებ.

5. საანკეტო ფურცლებში შემდეგ კითხვებზე უნდა გაიცეს პასუხი:

1) გვარი, სახელი, მამის სახელი.

2) დაბადების წელი.

3) დედა ენა,

4) სხვა რომელ ენებზე ლაპარაკობთ და სწერთ თავისუფლად.

5) საერთო და სპეციალური განათლება.

6) რომელ სასურსათო ორგანიზაციაში მუშაობდით, რა სამუშაოზე და რამდენ ხანს.

7) სად მუშაობთ ეხლა და რა თანამდებობას ასრულებთ,

8) დამოკიდებულება სამხედრო ბეგარასთან.

9) ის პირნი, რომლებიც არ გამოცხადდებიან რეგისტრაციაზე, მიეცემიან პასუხისგებლობაში.

სახ. სასურ. კომისარის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**

საორგანიზაციო მმართველობის გამგე **ბ. მელჩარსკი.**

საქმეთა მმართველი **მ. დავიდოვი.**

**კოოპერაციის საქმეთა მმართველობისაგან.**

კოოპერატივთა მმართველობა განმარტავს, რომ ცნობები მომხმარებელ საზოგადოების სოციალურ შემადგენლობის შესახებ, უნდა დაყოფილ იყოს შემდეგ მუხლებად:

1) მუშები, 2) მოსამსახურენი, 3) პირნი თავისუფალ პროფესიისა, 4) განცალკევებული ხელოსნები, 5) მიწითმოქმედნი, 6) ხელოსნები, რომლებიც სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, 7) მწარმოებლები და მოვაჭრენი, 8) ის პირნი, რომლებიც სცხოვრობენ უძრავ ან მოძრავ ქონებით (სახლის პატრონი, მიწის მფლობელნი, რანტიე), 9) ის პირნი, რომლებიც სახლში მუშაობენ (იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნა გამორკვეული სამუშაო დარგი იმ პირთა, რომლების ხარჯზე ისინი სცხოვრობენ), 10) მოსწავლენი, 11) გამოურკვეველ პროფესიის პირნი.

# 26 მაისის სადღესასწაულოთ.

საქართველოს რევკომთან შემდგარი 26 მაისის სადღესასწაულო კომისია დაიყო 4 სექციათ: 1) სამხატვრო-კულტურული, 2) საგიტაციო საპროპაგანდო, 3) ფინანსიური სამეურნეო და 4) საორგანიზაციო.

სამხატვრო-კულტურულ სექციაში შევიდნენ ამხ.: კალაძე, ოკუჯავა, გ. რუხაძე და ს. ბოგდატიევი. საგიტაციო-საპროპაგანდო—ამხ. ნუცუბიძე, მგალობლიშვილი და კალაძე. საორგანიზაციო სექციაში შევიდნენ: ამხ. ალექსანდროვი, მარიამ ორახელაშვილი და ს. ბოგდატიევი. ფინანსიურ სექციაში—ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი და ა. სვანიძე. კომისია აწარმოებს მუშაობას ამხანაგი ბიბინეიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის მიერ გადაწყვეტილია 26 მაისის დღესასწაულის მოსამზადებელ მუშაობაში ჩაბას გრუზავროსტას მთავარი პოლიტიკური განმანათლებელი განყოფილება, განათლების სახალხო კომის. ხელოვნების განყოფილება, მასწავლებელთა კავშირი, შევარდენის საზოგადოება და ბევრი სხვა ორგანიზაციები.

კომისიის დადგენილების თანახმათ 26 მაისის დღესასწაულის დღეს თბილისში საძირკველს ჩაუყრიან სამ ძეგლს: 1) ერევნის მოედანზე საქართველოს მშრომელთა მენშევიკებისა და ანტანტისაგან განთავისუფლების ემბლემა. 2) იქვე შოთა რუსთაველის ძეგლი- 3) ვორონცოვის მოედანზე ვორონცოვის ძეგლის ადგილას კარლ მარქსის ძეგლი.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს რევკომს დანიშნოს საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების ემბლემის შეჯიბრება 1.000.000 მანეთის ჯილდოს მიცემით. შეჯიბრების მოწყობა ევალება განათლების სახალხ. კომის. ხელოვნების განყოფილებას. ხუთშაბათს მაისის 19-ს საღამოს 8 ს. სასახლეში ოთახ. № 4. შესდგება კომისიის სხდომა—და სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებთან ერთად. ამ სხდომაზე წარმოდგენილი იქნება დღესასწაულის პროექტები, გამომუშავებული თვითეულ ორგანიზაციის მიერ მის კომპეტენციის საზღვრებში. ყოველ გვარ ცნობისა და ახსნა-განმარტებისათვის კომისიის საქმეების შესახებ უნდა მიმართონ კომისიის მდივანს ა. სალარიძეს.

# ქრონიკა

**სახელმწიფო ბიუჯეტი.** ფინანსთა კომისარიატში საჩქაროთ იმუშავებენ ხარჯთაღრიცხვის წესებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენათ.

**მომარაგების საბჭო.** მომარაგების საბჭომ მიიღო აზერბეიჯანიდან ცნობა აზერბეიჯანიდან 60 ვაგონი მუხის კანის მიღების შესაძლებლობის შესახებ, საქართველოს ტყეულობის გასაძლიერებლათ. სამაგიეროთ მოითხოვ 6000 კალაპოტს, ამათ რიცხვში 5000 წყვილი უნდა იყოს კაცის, 500 ქალის და 500 ბავშვის.

**ახლო აღმოსავლეთის და ხმარე ამერიკული კომიტეტი.** ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა გასცა განკარგულება სომხეთიდან გამოქცეულ სომეხთა კომიტეტს სასადილოდან უფასო სადილის მოსპობის შესახებ ერთი კვირის ვადით, რათა 20 მაისისათვის მოსპობილ იქნას ამ კატეგორიის გამოქცეულთა ბარათები.

**გაძლიერებული გამოკვება.** იმ ხსნის განმავლობაში რაც მოქმედება დაიწყო საქალაქო ცენტრალურ სავათმყოფოსთან სალდათის ბაზარზე არჩეულმა იმ პირთა გამსინჯველმა და შემამოწმებელმა კომისიამ, რომელთაც ესაჭიროება გაძლიერებული გამოკვება, 3 აპრილიდან 14 აპრილამდე შემოწმებულია 2,500 ადამიანი, დაკმაყოფილებულია 1638 ადამიანი.

**სახალხო განათლების კომისარიატები.** სახალხო განათლების კომისარიატის სასწავლო კოლეგიის დადგენილების თანახმად უმაღლეს, საშუალო და საპროფესიო სატეხნიკო სასწავლებელთა მთავარგამგეს მიხეილ თაქთაქიშვილს მიეცა შვებულება ა. წ. აგვისტოს 10 მდე ხსენებული მთავარგამგის მოვალეობის ასრულება დროებით მიენდო ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის ინსპექტორს მიხეილ ზანდუკელს.

**რჩეულ მწერალთა თარგმანები.** ხელოვნების განყოფილების საგამომცემლო სექცია ამ ჟამად ამზადებს ევროპის და რუსეთის რჩეულ მწერალთა ნაწარმოებების კრებულ ბს. წლის ბოლომდე უნდა გამოვიდეს ხუთი კრებული. პირველი კრებულის ბეჭდვას სექცია ამ ახლო მომავალში შეუდგება. საჭიროა ჩვენმა მთარგმნელებმა მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში და ვისაც თარგმანები აქვს, წარუდგინოს სალიტერატურო განყოფილებას (ლორის-მელიქოვის ქ., № 5, ყოფილი ამიერკავკასიის ბანკში). ყველა შესაფერ ჰონორარს მიიღებს. კრებულში მოსათავსებელ მასალიდან უპირატესობა მიეცემა ევროპისა და რუსეთის თანამედროვე სიტყვა-კაზმულ მწერლობას.

# პატარა ფელეტონი

## ტაფამწვარი.

I

იქ, სადაც ერთს დროს სდუღდა და გადმოდუღდა ცხოვრება პიტალო კლდის შეფენ ბაზე აგებულ თმოგვის ქალაქისა, რომლის ნანგრევები სიამაყით დაჰყურებენ დღესაც ხეობაში მოშხუილე მტკვრის ტალღებს—ჰუსეინ საბრალ-ოღლის ამოყრილ ქოხის გვერდზე საქათმეში ცხოვრობდენ ვარია ნაცარა და ყვინჩილა ქოჩორა.

მათ მყუდრო ცხოვრებას შეაშფოთებდა ხოლმე ხანდახან ხეობაში ჩამოფრენილი ქორი, ანა და ქვა-ყორედან გამოსრიალებული გველი, რომლის ენის სისინი და მომნუსხველ თვალები მიჩრებდა ტანში ჟრუანტელს გვრიდა და გამაფრთხილებელ კაკანს იწვევდა ქათმებში.

ორივე ახალგაზრდები პირნათლათ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მეოჯახის წინაშე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ნაცარა ყოველ დღე უცდელათ სდებდა კვერცხს, რომელსაც ჰუსეინის ცოლი, ჩადრ ფარე, უყრიდა თავს დერგში.

ჰუსეინ საბრალ ოღლის ოჯახს, რომელიც შესდგებოდა მისი მეუღლის, ჩადრიფარესა, ქალიშვილი, მოხახნუმ და ვაჟი—აბდალ უბედურისაგან, — თავისი მხიარული და ქუნვის წუთებიც ქონდა ცხოვრებაში. მათი მხიარულება უმაღლეს წერტილამდის მიაღწევდა ხოლმე მაშინ, როდესაც ისინი ახალ პერანგებში შეხვდებოდენ ბაირამის დღესასწაულს. მაგრამ ვინაიდან ბაირამი ყოველ წლობით იდღესასწაულება, ახალი პერანგების შეკერვას კი ჰუსეინის ოჯახში ძრასამ წელიწადში ერთხელ ძლივს ახერხებდენ, ამიტომ ქმუნვარება უფრო სუფევდა იქ.

ეს ქმუნვარება წუთით გაიფანტებოდა და ყველას სახე გაუბრწყინდებოდა, როდესაც ნაცარა მორთავდა კაკანს კვერცხის დადების შემდეგ საბუდარში. ეს კაკანი მთელ ოჯახს მოაგონებდა, რომ მათ საპერანგეს, რომელიც უნდა იქნეს ნაყიდი ამ კვერცხის საფასურით, კიდევ მოემატა რამდენიმე გოჯა.

II

ჯავახეთის მინდორ ველზე გაშენებულ ნახევრათ დანგრეულ ახალქალაქში ცხოვრობდა ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ნაკიდაშ ლუკესიანცი.

ერთ დროს მის იდეალს შეადგენდა დიდი სომხეთის აღდგენა. მაგრამ ამ ოცნებისთვის კანალმა სიცოცხლე შესწირა ოსმალების გაფრთხილებულ ურდოებს.

ეხლა კი მისი სანატრელი საგანი იყო პატარა მაღაზიის გამართვა ახალქალაქში. ამ ნატვრის სისრულეში მოყვანამდის ფეხზე ვაჭრობას ეწეოდა,—ყიდულობდა და ყიდდა ყველაფერს, რის ყიდვა გაყიდვაც კი შეიძლება. სომხურისა და თათრული ენის გარეშე უკოდინარობა ძლიერ უშლიდა ხელს. ამ მხრით მას სჯობნიდა ახალციხელი მისი მეგობარი სოლომონ ქაჩაიშვილი, რომელიც სომეხთან სომეხი იყო, თათართან თათარი, ქართველთან ქართველი და ებრაელთან ხომ ნამდვილი მეკვიდრე იაკობის მეცამეტე შვილის იოსებისა.

ერთი ნაკლი ჰქონდა სოლომონს: რუსულათ წმინდათ გამოთქმას ვერ ახერხებდა. ამ ტომ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა გადაეტანა თავისი მოქმედების ასპარეზი რუსეთის ფართე ფარგლებში. იქ ტიტ ტიტჩების შორის უკანასკნელობას, აქ ლუკესიანცებში პირველობას არჯობინებდა. ახალციხეში სოლომონი იყო თბილისელი ახლად ამოსული ფინანსიური ვარსკვლავის აკაკი გაიძვერიძის წარმომადგენელი.

III

ვინ არ იცნობს აკაკი გაიძვერიძეს. ის კაპიტალისტია, მაგრამ მტკიცეთ სდგას დემოკრატიზმის ნიადაგზე. დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ—ეს მისი მცნებაა. ის ხელს უწყობს ხალხის გაპროლეტარებას, რითაც აჩქარებს სოციალიზმის განხორციელებას. ამისთვის საპატიო წევრობის ბილეთიც კი მიიღო მენშევიკების პარტიისაგან. ის აგრეთვე ნამდვილი პატრიოტია თავისი სამშობლოსი მის სავაჭრო და საწარმოვო დაწესებულებებში მხოლოდ ქართველი მუშები მუშაობენ. ზოგიერთ საადმინისტრაციო თანამდებობას აძლევს სხვა ერის წარმომადგენლებს,—ალბათ უმაღლესი კომერციული მოსაზრებით. ერთი სიტყვით, აკაკი ისეთი კაცია, რომელზედაც იტყვიან: არც მწვადს დასწვავს, არც შამფურსო. მაგრამ ბოლშევიკების ხელში ძალა უფლების გადასვლისთანავე მან ყველაფერი დაჰკარგა, გარდა ერთი პატარა საყავესა, რომელიც დაუტოვეს, როგორც წვრილი სავაჭრო.

IV

სწორეთ ამ საყავესათვის გაიძვერიძეს და ჰირდა კვერცხები. ეს გარემოება მან აცნო ახალციხეში სოლომონ ქაჩაიშვილს; სოლომონმა მიმართა ახალქალაქში ლუკესიანცს. ამ უკანასკნელმა სისრულეში მოსაყვანათ აფრინა სოფელში თავისი აგენტი — ოსმალეთიდანვე გადმოხვეწილი ბავშვი, რომელიც მიადგა კარს ჰუსეინ საბრალ ოღლის.

ჰუსეინმა მაზანდა არ იცოდა; ამიტომ ძლიერ კმაყოფილი დარჩა, როდესაც კვერცხში თითო მანეთი მიიღო. ეს ხომ ასჯერ მეტი იყო იმ ფასზე, რასაც წინეთ იღებდა. მართალია, გაგონილი ჰქონდა, რომ საპერანგე ჩითიც ძალიან გაძვირდაო, მაგრამ ასჯერ მეტათ ხომ აღარ გაძვირდებოდაო,—ფიქრობდა ჰუსეინი.

ამნაირათ პატარა აგენტისაგან კვერცხები გადავიდა გაორკეცებული ფასით ლუკესიანცის ხელში, შემდეგ ქაჩაიშვილის და აქედან კი აკაკი გაიძვერიძის წვრილ სავაჭრო საყავეში თბილისში.

V

ძველი მუშა დომენტი თავდუშაძეს ბედმა არ გაუღიმა ჯერ იყო და კიდევ მენშევიკების უფლების დროს ისე მწარეთ მოსტყუვდა, როდესაც „მუშათა სასახლეში“ მოინდომა დაბინავება*). შემდეგ ბოლშევიკების ხელშიაც, იმდენი აწვალა სერგო მეგრელიშვილმა, ჩიქოვანის დახმარებით, რომ ავათაც კი გახდა ტიფით**).

ტიფს როგორც იყო გადაურჩა დომენტი და ამ დღეებში გამო წერა საავადმყოფოდან. მოგეხსენებათ, ტიფის შემდეგ კარგი ჭამა სჭირდება და აქვს ნაავათმყოფარს. მიიღო თუ არა შვიდი ათას ხუთასი მანეთი დახმარება სოციალურ უზრუნველყოფიდან დომენტიმ, იმ წუთშივე გაეშურა გაიძვერიძის საყავეში სასაუზმოთ. თამამათ შეაღო კარები და მოითხოვა ტაფამწვარი. ზედ ორი სტაქანი რძიანი ყავაც დააყოლა და გულში ძლიერ მადლიერი იყო ბოლშევიკებისა წვრილი სავაჭროების ხელუხლებლათ დატოვებისათვის.

მაგრამ მის გაოცებას და აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც წარუდგინეს საუზმის ანგარიში შვიდი ათას ხუთასი მანეთი.

ამ დღიდან დომენტი შეიქნა წვრილი ვაჭრობის დაუძინებელი მტერი.

ხ. თ—ია.

# პარტიული ცხოვრება

## სახხერე.

10 მაისს შესდგა სახხერის ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა გაერთიანებული კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სხეიშვილი, მდივნათ შ. დევიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება მომენტზე, 2) პარტიული მუშაობის გაჩაღება, 3) მიმდინარე საკითხები. პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. კუპრაძე; ეხება რუსეთის მდგომარეობას მსოფლიოში, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და დაასკვნის რომ საბჭოთა მთავრობა ისევე გაიმარჯვებს ეკონომიურ ფრონტზე, როგორც გაიმარჯვა სამხედრო ფრონტზე ამ პირობებში იწყებს მუშაობას საქართველოს საბჭოთა მთავრობა და ისიც შეიტანს თავის წვლილს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ მსვლელობაში. შეკითხვების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. კუპრაძისა მიმდინარე მომენტზე საქ. კომუნისტური პარტიის სახხერის ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა გაერთიანებული კრება მხურვალედ მიესალმება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას და მის ბელადს ამხ. ფილიპე მახარაძეს და სასტიკად გმობს მოღალატე მენშევიკების პარტიას, რომელიც პროვოკაციით და ჭორებით ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული ნდობა ხალხში და აცხადებს, რომ ის არ მისცემს არავის უფლებას ფეხქვეშ გათელოს ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება“.

სხვა კითხვების განხილვის შემდეგ კრება დაიშალა და მიენდო კრებაზე არჩეულ ამხანაგებს პარტიული მუშაობის გაცხოველება.

**სახხერის კომუნისტური პარტიის კომიტეტი.**

*) იხილე „ეშმაკის მათრახი“, № 9, 1920 წ. „ძველი მუშა“.

**) იხ. „კომუნისტი“ № 46, „ბინობიადა“.

# პროფესიონალურ კავშირებში

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილებაში.**

მაისის 4, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების კოლეგიის სხდომაზე საბავშვო საღამოების დღესასწაულთა და კინოსეანსთა მოწყობის საკითხის განხილვის დროს დაადგინეს: რადგანაც ასეთი გასართობების მოწყობა საჭიროთაა მიჩნეული, ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ რიგრიგობით—წარმოებათა მიხედვით, ყოველ სარაიონო კლუბში საბავშვო საღამოს, დღესასწაულის და კინო სეანსის, გამართვას. ფული მოწყობისათვის გამოითხოვოს პოლიტიკურ უმაღლესს განმანათლებელ განყოფილებას. საბავშვო საღამოები პირველ რიგში გაიმართება მუშათა ცენტრალურ კლუბში. შაბათობით, საღამოს 4—8 საათამდე, 2) ნაძალადევის თეატრში კვირაობით დღის 10—2 საათ., 3) ორთაჭალის კლუბში, საღამოს 5—8 საათ. იმავე სხდომაზე კოლეგიამ დაადგინა, შეუდგეს ქართველ ბავშვთა წრის ორგანიზაციას.

მაისის 12 კულტურულ განყოფილების კოლეგიამ წინადადება მისცა პროფესიონალ კავშირთა განყოფილებათა ყველა გამგეებს, რომ ორი კვირის განმავლობაში მოიწვიონ ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტთა კონფერენცია.

კოლეგიამ ლექციებისა და კონცერტების მოწყობის შესახებ დაადგინა: წინადადება მისცეს პროფესიონალ კავშირების კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებებს, დამოუკიდებლივ მოაწყონ ხოლმე, კვირაში ერთხელ ლექცია, კონცერტ-მიტინგი, რისთვისაც ისარგებლონ პოლიტიკურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროფეს. სექციის აპარატით. პროფესიონალურ მოძრაობის შესასწავლი კურსების გახსნის გამო, კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს უმაღლეს პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებას პროფეს. სექციის საშუალებით ხსენებულ კურსების საჭიროებისათვის გადაეცეს მას ბინა 100 მსმენელთათვის და წინადადება მიეცეს კავშირის კულტურულ განყოფილებათა გამგეობას შეადგინოს ლექციების მსმენელთა სია. კავშირის კულტურულ განყოფილებებმა, თუ სურთ ბიბლიოთეკის გახსნა, უნდა მიმართონ უშუალოდ უმაღლეს პოლიტიკურ განმანათლებელ პროფეს. სექციას ლიტერატურისა და ინსტრუქციის მისაღებათ.

კოლეგიამ განმანათლებელ განყოფილებათა წარმომადგენლების საოლქო კონფერენცია მოიწვიოს.

**კულტურულ ჩანასახების კონფერენცია.**

მაისის 10 შესდგა კულტურულ ჩანასახების პირველი კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 23 წარმოების 36 წარმომადგენელი. თავმჯდომარეობდა ამხ: პოლობოვენსკი. კონფერენციამ მოისმინა საქართველოს პროფ. საბჭოს კულტურულ განყოფილებისა და მელითონეთა კულტ განყოფილების წარმომადგენლების მოხსენებები. მოხსენებების მიხედვით კონფერენციამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: კონფერენცია აუცილებელ საჭიროებათ სთვლის 1-ლი პროფ-ტეხნიკური კურსების დაარსებას წარმოებების გასაძლიერებლათ, 2) ბიბლიოთეკების, სამკითხველოების და სააგიტაციო პუნქტების გახსნას, 3) ბილეთების განაწილების მოწესრიგებას და 4) სპეკულიაციასთან და ბილეთებით ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველათ ზომების გამიძებნას.

**მიწა-ტყის პროფ-კავშირის ცხოვრებიდან.**

მიმდინარე წლის 3 მაისს შესდგა მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირის მთავარი გამგეობის სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი:

— სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე, რომელიც მოწვეულია 15 მაისისათვის მოსკოვში, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა ტყის მუშაკთა საწარმოო კავშირისაგან წარმომადგენლათ, სათათბირო

ცენტრიდან. აღნიშნულ განყოფილებების გაუქმებასთან ც. კ. საჭიროთ მიაჩნია რათა ა) აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კოლეგიაში შეყვანილ იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც დაახლოვებით იცნობენ სოფელსა და გლეხის ცხოვრებას. ასეთ ამხანაგებს უნდა დაევალოს მუშაობის იმ მეთოდების საშუალება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი შეიქნება პარტიის სოფელთან დაახლოვება; ბ) რათა საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებებში იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც დახელოვნებულნი არიან სოფლად მუშაობაში.

**შენიშვნა:** გამონაკლისი ზოგიერთ ადგილებისათვის დასაშვებია, მხოლოდ ც. კ თანხმობით,

47. ყრილობას საჭიროთ მიაჩნია, რათა სრულიად რუსეთის მასშტაბით მოხდეს ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებების ლიკვიდაცია—ამ განყოფილებების სააგიტ.-საპროპაგ. ქვეგანყოფილებებათ გადაკეთებით და მათი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში გადაცემით. ც. კ. იღებს თავის თავზე დაუყონებლივ შეიმუშავოს და შეათანხმოს სხვა და სხვა დებულებები ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებებისა და სექციების შესახებ.

48. ყრილობა სავალდებულოთ თვლის „სუბოტნიკებს“ პარტიის ყველა წევრებისათვის. „სუბოტნიკი“ იმართება ერთხელ მაინც თვეში და იღებს ნამდვილ კომუნისტურ სკოლის ხასიათს. „სუბოტნიკების“ დანიშნულებას შეადგენს: ა) წარმოების გაძლიერება, ტრანსპორტის გაუმჯობესება, ბრძოლა სიცივესთან და სხ; ბ) მუშებისა და წითელ არმიელების მდგომარეობისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესება; გ) წითელ არმიელების კულტურულათ ამაღლება და განვითარება.

49. ც. კ. ვალდებულათ სთვლის თავს შეიმუშაოს სპეციალური ინსტრუქციების სახით საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს—პარტიულ კომიტეტებისა, ფრაქციებისა, პროფკავშირებისა, საუწყებო ორგანიზაციებისა (რკინის გზ. და საზღვაო მიმოსვლა), განსაკუთრებით პოლიტგანყოფილებათა და ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებების კომუნისტურ ორგანიზაციათა შორის.

**რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის შესახებ.**

50. პარტიის შინაური ცხოვრების გამოცოცხლებისათვის და აგრეთვე მისთვის, რომ პარტიას შემატოს ახალი კადრი შეგნებული კომუნისტებისა,—საჭიროა მჭიდროთ დაკავშირება და საერთო მუშაობა რ. კ. ა. კავშირთან.

ამისათვის აუცილებელია შემდეგი:

ა) პარტიის ყველა წევრები 20 წლიანებამდე ამავე დროს უნდა ირიცხებოდნენ რ. კ. ა. კ.-ს ფაქტიურ წევრებათ და იღებდნენ მონაწილეობას მის მუშაობაში;

ბ) პარტიის კომიტეტების წარმომადგენელნი რ. კ. ა. კ ს კომიტეტებში უნდა ასრულებდნენ იდეიურ ხელმძღვანელების როლს და გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ კავშირის მთელი მუშაობა. პარტიის ყრილობებზე და დელეგატების კრებებზე ადგილი უნდა ჰქონდეთ კავშირის წარმომადგენელთ და უფლება მიეცეთ მათ მოხსენების წაკითხვისა თავიანთ მუშაობის შესახებ;

გ) პარტიული კომიტეტები უნდა ეხმარებოდნენ რ. კ. ა. კ., რათა მან შესძლოს—სათანადო სიმაღლეზე დააყენოს თავისი წევრების პოლიტიკური სწავლა-განათლების საქმე; ამასთან ვე კომიტეტები უნდა ცდილობდნენ, რათა კავშირის წევრები მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტურ წყობილების აღმშენებლობის საქმეში;

დ) საჭიროა ნაწილობრივი განახლება რ. კ. ა. კავშირში აქტიურათ მომუშავე ამხანაგებისა—უკანასკნელების პარტიაში გადმოყვანით და მათ მაგიერ პარტიის წევრების კავშირში გაგზავნით. რაც უნდა ხდებოდეს ფრთხილად და დაკვირებით;

ე) რ. კ. ა. კავშირის ყველა წევრი—პარტიის წევრი, მოვალენი არიან—მონაწილეობა მიიღონ პარტიულ მუშაობაში და პირნათლათ შეასრულონ პარტიის მიერ დაკისრებული ყველა ვალდებულებანი;

ვ) სასურველია. რომ რ. კ. ა კავშირი მონაწილეობას იღებდეს საერთო პოლიტიკურ საბჭოებისა და პარტიულ საკითხების გარჩევაში. ამისათვის საჭიროა, რათა რ. კ. ა. კავშირი მოწვეულ იყოს ხოლმე პარტიულ ორგანიზაციების საერთო კრებებზე და კავშირის წარმომადგენელნი—დელეგატების კრებებზე, კონფერენციებზე და ყრილობებზე—სათათბირო ხმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმის უფლებით, გაიგზავნოს კავშირის მთავარი გამგეობის წევრი ამხ. გიორგი რცხილაძე. დაევალოს ამხ. რცხილაძეს დაწვრილებით გაეცნოს როგორც ყრილობაზე ისე თვით კავშირების ცენტრალურ დაწესებულებებში რუსეთის საწარმოო კავშირთა ორგანიზაციას, სამოქმედო გეგმებს, ინსტრუქციებს, წესდებებს და თვით კავშირების პრაქტიკულ ცხოვრებას და საქმიანობას ყოველ დარგში. ამხ. რცხილაძეს ევალება განსაკუთრებული ყურადღებით გაეცნოს და შეისწავლოს სრულიად რუსეთის მიწატყის მუშაკთა საწარმოო კავშირის სტრუქტურა და სამოქმედო გეგმები. ამხ. რცხილაძეს ევალება აგრეთვე შეაგროვოს საჭირო ლიტერატურა: წიგნები, ცირკულიარები, ოქმები, წესდებები, ჟურნალები, გაზეთები და შეიძინოს საქართველოს ს. ს. რესპ. მიწატყის კავშირისათვის. თავისი მხრით ამხ. რცხილაძემ ვრცელი ინფორმაცია უნდა გაუკეთოს ყრილობას და კავშირებს საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა საწარმოო კავშირის მუშაობა—ორგანიზაციის შესახებ.

— ეკონომიური განყოფილების გამგის ამხ. ანდრონიკაშვილის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობათ. მიენდოს საფაროვს, ვ. რცხილაძეს და მადათოვს ამხ. ანდრონიკაშვილთან ერთად გადაათვალიერონ ეკონომიური განყოფილებისაგან შემუშავებული საანკეტო ფურცლები.

— ამხ. ვ. რცხილაძის მოხსენება თელავისა და სიღნაღის მაზრებში ადგილკომების მოწყობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობათ. ამხ. რცხილაძის მოხსენება გადაეცეს პრეზიდიუმს და დაევალოს იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ დაკმაყოფილებული იქნეს მანაფის, წინანდლის, ნაფარეულის და მუკუზანის სახელმწიფო მამულების მუშა მოსამსახურენი პირველი საჭიროების საგნებით. აგრეთვე მამულებს მიეცეს საჭირო ცოცხალი ინვენტარი და მასალა.

— ეთხოვოს პროფკავშირების აღმასრულებელ კომიტეტს წერილობით აცნობოს თავისი მხრით მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლეგიას, რომ მიწატყის კავშირისაგან წარმომადგენლებათ კოლეგიაში არჩეული არიან ამხ. ნ. ფანცხავა და გ. რცხილაძე. მათ კანდიდატებათ ანტ. სვანაძე და ნ. ბრეგვაძე.

მიეცეს წინადადება კავშირის წარმომადგენლებს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ კოლეგიის მუშაობაში. დაევალოს მათვე ყოველკვირეული ანგარიშები წარმოუდგინონ ხოლმე კავშირის გამგეობას კოლეგიაში მუშაობის შესახებ.

— დაევალოს პრეზიდიუმს მიიღოს ენერგიული ზომები, რომ პროფკავშირის ყოველმა წევრმა მტკიცეთ იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობანი როგორც კავშირის წევრმა. ამ მიზნით მოეწყოს ადგილობრივ კომიტეტებში: ლექციები და მოხსენებანი.

— მიეთხოვოს ადგილობრივ კომიტეტებს უსათუოდ წარმოუდგინონ ხოლმე კავშირის მთავარ გამგეობას ოქმები სხდომებისა და მათი დამტკიცების შემდეგ მოიყვანონ დადგენილებანი სისრულეში.

— კავშირთან კომუნისტური ფრაქციის დაარსება დაევალოს ამხ. ფანცხავას.

— ამხ. ვ. ხასთიანი დამტკიცებულ იქნეს კულტურულ განმანათლებელი განყოფილების მუდმივ გამგეთ.

— დაევალოს ამხ. აბრამიძეს მოკლე დროში წარმოუდგინოს მთავარ გამგეობას დაწვრილებითი ცნობები: რამდენია მებაღეთა კავშირში მესაკუთრე, მოიჯარადრე და დაქირავებული მუშა.

მიეცეს უფლება პრეზიდიუმს გასცეს ოცი ათასი მანეთი მებაღეთა კავშირის მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ.

# პროვინციაში

**პირველი მაისობა თელავის მაზრაში.**

საერთაშორისო მუშების დღესასწაულს თელავის მაზრაც არ შეხვდა მოუმზადებელი ამ დღესასწაულის ადგილებზედ გასატარებლად, თვით მშრომელთა დახმარებით და მათი სურვილით იყო არჩეული „პირველ მაისის მომწყობი კომისიები“. მრავალი ყვავილებით და დროშებით მორთული ქუჩები დაჰიოდენ ამ დღეს მთელს მაზრაში, ამცნობდენ მშრომელ მასას, რომ პირველი მაისი საერთაშორისო მუშების დღეა. თითქმის ყველა სოფლებში ამ დღეს გაიხსნა სამკითხველოები, მუშათა კლუბები და სხვ.

ქალ. თელავიც არ შეხვედრია მდუმარეთ პირველ მაისობას... თელავის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან გლეხები, წითელი დროშებით და ზეიმით უერთდებოდნენ ქალაქის მან ფესტანტებს; მწყობრი რიგებით, ბავშვები და მოზრდილნი წითელი დროშებით მიეშურებოდნენ დანიშნულ ადგილებზედ. პირველად მიტინგი გაიხსნა, იმ დღეს გასახსნელ მუშათა კლუბის წინ, სადაც დამსწრე საზოგადოებას, მოზრდილთ ცალკე სიტყვით და ბავშვებს—ცალკე გააცნო დღესასწაულის მნიშვნელობა ამხ ბუჩიძემ. შემდეგ ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც. დასასრულს გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუციები: „ჩვენ, შეკრებილნი, პირველ მაისს, მშრომელნი ქალ. თელავისა და ახლო მდებარე სოფლების, საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულის აღსანიშნავად, ვუცხადებთ ჩვენ ძლიერებას საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს და გლეხებს და მოვუწოდებთ ყველა ჯერ კიდევ იმპერიალისტ-კაპიტალისტების უღლის ქვეშ მყოფთ, რომ მწყობრი, მაგარი შეუპოვარი რიგებით შეუერთდნენ საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას და შემოკრბნენ მისი შტაბის მესამე ინტერნაციონალის ირგვლივ. რომ უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი ჩავსცეთ ჩვენს კლასიურს მტრებს. ჩვენც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თქვენ გვერდში ვართ, რომ მოვსპოთ უსამართლობა და გავამეფოთ თავისუფალი შრომა!

გაუმარჯოს საერთაშორისო თავისუფალ შრომის კავშირს.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოც. რევოლიუციის ხელმძღვანელს მე III ინტერნაციონალს!

ზიზღი და კრული მე II ყვითელ გამცემ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეს პირველ მაისს!“

ამავე მიტინგზე სადაც დაესწრო ათასხუთასამდე ახალგაზრდობა გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ შეკრებილნი ახალგაზრდები ვამცნობთ მსოფლიოს ახალგაზრდებს, რომ ჩვენ გავხდით თავისუფალნი შვილნი ცხოვრებისა; ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად შრომა და განვითარება და ჩვენც ვზეიმობთ!. მთელს ქვეყნის ახალგაზრდებო! უკარნახეთ თქვენს უფროსებს, რომ მათ აიღონ ხელში თოფი და წითელი დროშა, რომ შეებრძოლონ და განთავისუფლდნენ მდიდრების მონობისაგან, მაშინ თქვენ გახდებით ჩვენსავით თავისუფალნი და შეგეძლებათ თავისუფლად შრომა და განვითარება.

გაუმარჯოს ახალგაზრდების საერთაშორისო კავშირს!

გაუმარჯოს ახალგაზრდების განთავისუფლებისთვის მებრძოლებს!

მიტინგის შემდეგ ახალგაზრდები გაეშურნენ ნერგების ჩასაყრელად. რაც დიდი ხალისით და ზეიმით ჩატარდა. მათ დაურიგეს საჩუქრებათ ნახ. გირვანქა თხილი და თითო წითელი კვერცხი, რის შემდეგ დაიშალნენ.

მოზრდილნი კი გაემგზავრენ ორკესტრით მთელს ქალაქის ქუჩებში. ამ დღეს ყველგან წარმოდგენები უფასო იყო; საბჭოთა სასადილოში სადილები უფასო. საღამოზედ მოხდა გახსნა მუშათა კლუბის, სადაც გამოვიდა მოკლე სიტყვით ამხ. ბუჩიძე, რის შემდეგ იქმნა დაკრული პიესები. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

პირველი მაისის სახელი დაერქვა მაწანწყრის სამკითხველოს და ქალაქის მოედანს, რომ ადგილობრივ მშრომელთ ახსოვდეთ პირველი თავისუფალი მაისი თავისუფალ საბჭოთა საქართველოში.

თ. ხონგელი.

---

**მანგლისის რაიონი**

პირველი დღიდან მენშევიკების მთავრობის გაქცევისა მენშევიკების დამქაშ აგენტები სოროებში მიიმალნენ; დღეს თანდათან ძვრებიან იქიდან და იწყებენ თავიანთ ძველი საქმეების კეთებას, მათ პროვოკაციას საზღვარი არ აქვს, ისეთ რამეს გაიგონებ, რომ ჯერ გაგეცინება მაგრამ რომ დაუკვირდები მათ თავხედობას ბრაზი მოგდის. ასეთ საქმეებში რასაკვირველია უნდა პირველი ადგილი უჭირავს სამღვდელოებას. ყველამ კარგათ იცის თუ რა პოპულიარობით სარგებლობენ დღესაც მღვდლები ბნელი მასაში, და აი სწორედ, „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“, ისინი ავრცელებენ პროვოკაციას. მღვდ. ჩიტაძე როგორც ცნობილი თავის რეაქციონური მოქმედებით პირველსავე დღეს იყო დაპატიმრებული მანგლისის რევკომის მიერ; მარა ის ამნისტიის ძალით იქმნა განთავისუფლებული. დღეს მეტის ენერგიით და გათამამებულათ შეუდგა თავის ძველ საქმეებს, ამას წინათ ის მოსულა ს. თონეთში და ქონია საუბარი გლეხებთან, „შვილებო! ამბობდა ის, ეს ღვთის ნებაა ასე მოითმინეთ კიდევ 17 დღეს ეს ყაჩაღები ჩამოცვივა ძირს და ჩვენი ქართველი მთავრობა ისევ მოვაო, მოითმინეთ ვითარცა მოითმინა იესომო“ და სხვა. მას აყვენ სოფლის ბნელი ძალები და ყოველივე ღონეს იღებენ ნდობა გაუტეხონ ხალხის თვალში პარტიულ ამხანაგებს, სხვა რაღა გინდათ, იმდენათ გაიშვეს თავი, რომ „მარჩიელებაც“ მოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ. მომყავს ერთი მაგალითი.

მანგლისის რაიონულ ახალ. კომუნ. კომიტეტში შემოვიდა განცხადება რუსულ ენაზე ამხ. ვ. ფიოდოროვისა, რომელიც მომყავს დაწვრილებით.

„მე ქვემორე ამის ხელის მომწერს მსურს მოგახსენოთ ამ განცხადებით შემდეგი: შაბათს, 6 მაისს ჩემს ბინაზე მოვიდა ადგილობრივი კომისარი და გაჩხრიკა ჩემი ბინა, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახა. მე გამიკვირდა თუ რაში იყო საქმე, ან რას ეძებდენ. მე დაინტერესებულმა გამეგო საქმის ვითარება, დავიწყე ძიება და მეორე დღეს გავიგე, რომ, ვითომ მე მომეპაროს იმავე სოფლის მცხოვრებ გერჩკინისთვის 4 ფუთი ხორბალი. მე დავინტერესდი გამეგო რათ დამსახეს ქურდათ და გავიგე შემდეგი: თურმე გერჩკინი წასულა მარჩიელთან, რომელსაც ჩაუხედნია რაღაც „შარში“ და დაუნახავთ ჩემი სახე. მეორე დღეს მთელი სოფელი მიძახდა ქურდს... ეხლა ვთქვათ რას აკეთებს ადმინისტრაციის მოხელე მილიციის უფროს, როცა უმიზეზოთ ჩხრეკს ბინას და აპატიმრებს მარჩიელის სიტყვით?

დრო დროზედ მიექცეს ამას ყურადღება გაიწმინდოს სოფლის ადმინისტრაცია გამოუცდელი პირებისგან, და მკაცრი ზომები იქნეს მიღებული პროვოკატორების წინააღმდეგ, სანამ გვიან არ არის.

გოგიტო ციმბირელი

**შუხუთის თემი (გურია).**

ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. ხალხი ხელს კიდებს მუშაობას. ვერ გასჭრა მენშევიკების პროვოკაციულმა ხრიკებმა., ვინ იცის რა და რა ყალბ ცნობებს არ გაიგონებთ ზოგ ერთ ფაქსატონებისაგან, რომელთაც მიზნათ დაუსახავს საზოგადოებრივი ცხოვრების აფორიაქება და ხალხში ნერვიულობის გამოწვევა. დღეს ამბობენ: ქურდანია მოდის საქართველოში ორი გემით, რომელიც სავსეა საქონლით, ხვალ გაიგონებთ: ჟორდანია საქართველოში შემოსულა და თან მოუყვანია ევროპის წარმომადგენლები. შემდეგ პროვოკაციული ხმები ეხება თვით საბჭოთა მთავრობას. მაგალითად ამბობენ: თბილისიდან ყველაფერი გაზიდეს, არ დაუტოვებიათ არც ერთი ტრამვაის ვაგონი, არც ერთი ორთქლმავალი და სხვ. საბჭ. მთავრობას განზრახვა აქვს ჯერ დაამუშავებინოს გლეხებს მიწა და მერმე წაართმევსო. აი ასეთი ჭორები იწვევს ნერვიულობას ხალხში და ზოგიერთ ჩამორჩენილ გლეხებს ეს მართლაც სწამს. ეს ასეა როგორც შუხუთში, ისე და უფრო უმეტესად ლანჩხუთის რაიონში და გურიაში. ყველა ამის საწინააღმდეგოთ ადგილობრივი ამხანაგები აწარმოებენ ორგანიზაციულ პარტიულ მუშაობას. ეს ერთად ერთი საშუალებაა ყალბი ხმების გასაფანტავათ. არც ერთ სოფელში ლანჩხუთის რაიონში ისე კარგათ არ მიდის პარტიული მუშაობა როგორც შუხუთში. აქ ამხანაგები არ უყურებენ იმას თითქოს ვილაცა ზევიდან მოვა და ის მომართავს პარტიულ მუშაობას, როგორც მაგ. ასე ფიქრობენ ზოგი ლანჩხუთელი ამხანაგები, კარგათ მუშაობს რევკომიც. მას უკვე ყურადღება მიუქცევია გზების ცუდი მდგომარეობისათვის და იღებს ენერგიულ ზომებს მათ გასაკეთებლათ. ხალხი სიამოვნებით გამოდის სამუშაოზე და ამბობს, აი ასეთი უნდა ხელმძღვანელობა, ასეთი უნდა წინამძღოლობაო. თუ ჩვენ წინ გაგვიძღვებიან ჩვენ გავყვებითო. მოეწყო შუხუთში აგრეთვე ორჯერ უფასო წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. შუხუთში შესდგა კულტურულ-განმანათლებელი სექცია, სადაც შედიან ამ თემის ყველა საუკეთესო ინტელიგენტური ძალები და რომელთა მოვალეობაა უხელმძღვანელონ საერთოდ მთელ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას ხალხში, მოაწყონ წარმოდგენები, ლექციები წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა და სხვ. შუხუთის ინტელიგენცია ამ დარგში მუშაობის სურვილს აცხადებს, რაც ღირსია აღნიშვნის. კარგათ მუშაობს ამხ. ალ. ბზეკალავა, რომელიც მზათ არის ყოველგან და ყოველთვის თავისი შრომა შესწიროს, როგორც პარტიულ ისე სახელმწიფოებრივ მუშაობას. ჩვენ გვწამდა და გვწამს რომ გლეხთა მასსები წამოაყენებდა და მომავალშიც წამოაყენებს ასეთ გულწრფელ და პატიოსან მუშაკებს. საერთოდ ამ ცოტა ხნის განმავლობაში შუხუთში ძლიერ ბევრი გაკეთდა. ვუსურვებთ შუხუთელ ამხანაგებს კიდევ უფრო ენერგიულ მუშაობას.

წევრი.

---

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ... ბაზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო— ... ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—53

მე-5-თე რაიონის ბიურო—ავჭალის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

---

საორგანიზაციო კოლეგია.

# ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილებისაგან

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ამა წლის 17 მაისიდან რაიონებში გაიმართება კომპარტიის წევრების კრებები, რომელზედაც იქნება გაკეთებული მოხსენება—„ამხ. ლენინის წერილი და კომპარტიის მიზნები საქართველოში“.

I რაიონში—ნაძალადევის თეატრი—ხუთშაბათს 19 მაისს, საღამოს 6 საათ. მოხსენებას გააკეთებენ ამხ. 1) მახარაძე, 2) დუმბაძე, 3) კურულაშვილი და 4) კალანდაძე.

II—ჩუღურეთის ცენტრალური კლუბი, ოთხშაბათს 18 მაისს, საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი: 1) ელიავა, 2) კალაძე და 4) ქავთარაძე.

III—მე-III ბიუროს შენობა, კახეთის მოედანი № 1. სამშაბათს 17 საღამოს 6 საათზე. მოხსენებას გააკეთებენ: 1) ნაზარეთიანი, 2) ტოროშელიძე, 3) ატაბეკოვი.

IV რაიონი—ადგილი ნაჩვენები იქნება ცალკე. კვირას 22 მაისს დილის 11 საათზე. მომხსენებლები: 1) თუმანიშვილი, 2) დონენკო, 3) ერქომაიშვილი, 4) კალანდაძე.

ყველა ამხანაგები ვალდებული არიან დაესწრონ კრებას. შესვლა შეუძლიანთ მხოლოთ პარტიულ წევრებს.

ცეკას სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

---

# ≡ შეჯიბრება ≡

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000 ... და 10.000 მან. ღირებულობის.

## შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ... ... ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ... ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ ... თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი“.

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ ... იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე; რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000, ... შუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის პსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ პსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით ... კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში ექსპედიციის კომისრის სახელზე არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

---

# შემსყიდავი კომისიისაგან

უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს მომარაგების საბჭო აუწყებს ყველას, რომ მასთან დაარსდა სპეციალური შემსყიდავი კომისია რომელიც აწარმოებს შესყიდვას ბონებზე, როგორც ადგილობრივ, ისე უცხო სავაჭრო ფირმებთან. კომისიის განკარგულებაში გახსნილია სპეციალური კრედიტი. საქონელი შეისყიდება ურთიერთ შეთანხმებულ ფასებში. ანგარიშების გასწორება ხდება დაუბრკოლებლივ. შესასყიდავათ წარმოდგენილი საქონელი აღრიცხვაზე არ აიღება, არც ჩამოერთმევა. კომისიაყიდულობს ყველა ტეხნიკურ მომარაგების საგნებს და მასალებს (ინსტრუმენტებს, ლითონებს და სხვა) და წარმოებათათვის საჭირო მოწყობილობას.

წინადადებით მიმართვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე შემსყიდავ კომისიაში (სასახლის ქ. № 6, ყოფ. სასტუმრო „პალერიოიალის“).

კომისიაშივე შეიძლება უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოსათვის აუცილებელი საქონლის დაწვრილებითი სიის ნახვა.

მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე კ. ფანიევი.

შემსყიდავი კომისიის თავმჯდომარე მ. ბიბინეიშვილი.

---

# ბრძანება № 1.

**ქ. თბილისის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ორგანიზაციისა.**

**217—5**

ც. კ. და თ. კ ს. ახ. კ. კ. ბიუროს დადგენილებით ეძლევა წინადადება კავშირის ყველა ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ ყველა სასროლი იარაღები ც. კ. და თ. კ. სამხედრო სავარჯიშო განყოფილებას.

შენიშვნა: თანახმად საქართველოს ჩეკას დადგენილებისა, იარაღის ტარების უფლება აქვთ: კავბიუროს, ც. კ., თ. კ., სამაზრო კომ. და რაიონკომის წევრებს.

ამ დადგენილების შეუსრულებლობაში შემჩნეულნი გამორიცხულ იქნებიან კავშირიდან და გადაეცემიან ჩეკას.

შენიშვნა: იარაღის ჩაბარება მოხდება თ. კ. ს. ახ. კ. კ. სამხედრო განყოფილებაში დღის 10—3 საათამ. და საღამოს 5—7 საათამდის.

რუსთავ. პროსპ. „ევროპიული ნომრ.“ ტელ. № 1—441. ც. კ. ბიუროს წევრი და მდივანი კ. კალანტაროვი. სამხ. გან. გამგე ც. კ. და თ. კ. სუმერლჟიევი.

---

# მასწავლებელთა საორგანიზაციო ბიუროსაგან

დღეს ხუთშაბათს, 12 მაისს, საღამოს 5 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია თფ. ყველა სასწავლებლის (გარდა უმაღლესისა) მასწავლებელთა და მსახურთა საერთო კრება დელეგატების ასარჩევათ, რომელნიც წარიგზავნებიან განათლებისა და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კონფერენციაზე ახალი გამგეობის ასარჩევათ და სხვა საკითხების გადასაწყვეტათ.

საორგანიზაციო ბიურო.

---

# გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ მისგან ამავე კომისარიატის შიკრიკ იაკობ თუთაძისათვის მიცემული მოწმობა 27 აპრილიდან №1566, იმერეთსა და სამეგრელოში სურსათ-სანოვაგის შეძენის შესახებ, დაკარგულია და გაბათილებულად უნდა იყოს ცნობილი.